შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„DAR BUILDING “

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2022

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „DAR BUILDING “

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-38

1. შესავალი 11
2. მომზადების საფუძველი 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა 20
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები 20
7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 30
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31
9. საინვესტიციო ქონება 31
10. მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება 32
11. ძირითადი საშუალებები 32
12. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები 33
13. ფინანსური ინსტრუმენტები 33
14. პირობითი ვალდებულებები 34
15. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები 35
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 37
17. კაპიტალის მართვა 38
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 38
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 38

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „DAR BUILDING “

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „DAR BUILDING “-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

რევაზი დარჩიძე

დირექტორი

2022 წლის 19 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,DAR BUILDING "-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ,,DAR BUILDING "-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს, DAR BUILDING "-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ,,DAR BUILDING "-ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ,,DAR BUILDING “-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ,,DAR BUILDING “-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,DAR BUILDING “-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,DAR BUILDING "-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,DAR BUILDING " უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს ,,DAR BUILDING "-ის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტ-აუდიტის" სახელით (რეგ. № SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ: SARAS-A-730184)

19 სექტემბერი 2022 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება"DAR BUILDING"
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	6	27,837,177	15,480,199
გაყიდული საქონლის თვითღირებულება - მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	7	(9,271,879)	(8,661,772)
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული საერთო მოგება		**18,565,298**	**6,818,428**
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	6	3,519,749	9,182,644
სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება	7	(3,010,133)	(7,358,177)
საერთო მოგება სამშენებლო მომსახურებიდან		**509,615**	**1,824,467**
საიჯარო შემოსავალი	6	802,938	672,512
ქონების საოპერაციო ხარჯები	7	(20,419)	(28,276)
წმინდა საიჯარო შემოსავალი		**782,519**	**644,236**
საქონლის/ნედლეულის რეალიზაცია	6	652,577	662,508
საქონლით/ნედლეულის თვითღირებულება	7	(524,880)	(616,641)
საქონლის/ნედლეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი		**127,697**	**45,867**
შემოსავალი სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებიდან	6	550,509	-
სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების დანახარჯები	7	(251,521)	-
მოგება/ზარალი სარესტორნო და სასტუმრო მომსახურებიდან		**298,989**	**-**
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ადმინისტრაციული ხარჯი		(699,714)	(571,631)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(479,129)	(243,069)
ცვეთა	11	(415,531)	(122,903)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი		(178,481)	(126,051)
არარეგულარული ხარჯები		(12,206)	(40,816)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**18,499,059**	**8,228,526**
საპროცენტო შემოსავალი	13	1,838,125	2,186,047
საკურსო მოგება/ზარალი		(384,028)	1,187,323
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		1,493,043	529,850
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		482,428	28,469
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**21,928,627**	**12,160,215**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		**21,928,627**	**12,160,215**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ომარი ჭაღალიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება''DAR BUILDING''
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	*2021*	*2020*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	9	-	314,600
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	10	27,607,430	34,174,878
ძირითადი საშუალებები	11	3,391,288	825,278
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	11	6,376	433
გაცემული გრძელვადიანი სესხები	13	18,046,570	17,608,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		**49,051,664**	**52,923,489**
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	12	3,232,412	4,066,397
გაცემული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი.	13	1,997,920	2,492,689
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	49,151,436	22,235,496
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	300,459	15,123
სულ მოკლევადიანი აქტივები		**54,682,227**	**28,809,705**
სულ აქტივები		**103,733,892**	**81,733,194**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	1,400,000	1,400,000
გაუნაწილებელი მოგება		78,590,570	56,672,748
სულ საკუთარი კაპიტალი		**79,990,570**	**58,072,748**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	6	11,210,244	13,034,215
გრძელვადიანი ვალდებულებები		**11,210,244**	**13,034,215**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი.	6	3,990,472	4,800,204
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	7,960,843	5,823,306
სხვა ვალდებულებები	13	581,762	2,721
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**12,533,078**	**10,626,231**
სულ ვალდებულებები		**23,743,322**	**23,660,447**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**103,733,892**	**81,733,194**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

რევაზი დარჩიძე **ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება''DAR BUILDING''
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2019	**1,400,000**	**47,625,606**	**49,025,606**
გაცემული დივიდენდი		(3,113,074)	**(3,113,074)**
მოგება წლის განმავლობაში		12,160,215	**12,160,215**
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2020	**1,400,000**	**56,672,748**	**58,072,748**
გაცემული დივიდენდი		(10,805)	**(10,805)**
მოგება წლის განმავლობაში		21,928,627	**21,928,627**
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2021	**1,400,000**	**78,590,570**	**79,990,570**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

რევაზი დარჩიძე **ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება"DAR BUILDING"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	8,932,676	10,218,737
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,369,537)	(13,055,711)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(669,513)	(479,475)
გადახდილი გადასახადები	(1,983,861)	(72,345)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1,090,235)**	**(3,388,793)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(842,591)	-
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	345,455	675,212
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(497,136)**	**675,212**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხის ძირი	3,235,664	5,154,970
სესხის გაცემა	(2,140,000)	(2,071,800)
მიღებული პროცენტი	796,576	1,410,794
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(9,269)	(46,098)
დივიდენდის განაწილება	(10,265)	(2,957,420)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**1,872,706**	**1,490,446**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	**285,336**	**(1,223,134)**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	**15,123**	**1,238,257**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	**300,459**	**15,123**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

რევაზი დარჩიძე **ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ‘’DAR BUILDING ” დაფუძნებულია 2006 წელს. საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია პუშკინის ქუჩა N18, ბათუმი, საქართველო. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე რევაზი დარჩიძე (100%).

შპს ,,DAR BUILDING’’ არის ქართული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქ, ბათუმში საცხოვრებელი სახლების, სასტუმრო აპარტამენტების და კომერციული დანიშნულების შენობების მშენებლობა და რეალიზაცია. აღნიშნულ საქმიანობას კომპანია 5 წელზე მეტია წარმატებით ახორციელებს და რეგიონში შესაბამის ბაზარზე იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ადგილს.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრე-ბენეფიციარი იყო:

	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
რევაზი დარჩიძე	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ბასს").

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

2021 წელს მოთხოვნა შედარებით გაიზარდა კომპანიის პროდუქტებზე წინა წლებთან შედარებით, რაც განაპირობა სამშენებლო სამუშაოების ბაზრების გახსნამ, შედეგად წარმოება და მოთხოვნა გაიზარდა, რადგან კომპანიის პროდუქცია არის სამშენებლო სამუშაოების განუყოფელი ნაწილი.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

უწყვეტობის პრინციპი

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნა დადებითი დინამიკა პანდემიიდან აღდგენის კუთხით. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასების არსებობა განაპირობებს ინფლაციას საქართველოში. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიაზე შემცირდა.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

არსებული სამუშაო გარემოს შემდგომი განახლებებისთვის იხილეთ მე-18-ე შენიშვნა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი, რომელიც არის კომპანიის ხელშეკრულებების აბსოლუტური უმრავლესობის ვალუტა და რომელშიც ხდება მარაგებად კლასიფიცირებული ქონების განფასება. კომპანია სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტას იმიტომ იყენებს, რომ მისი აზრით, ეს ვალუტა უფრო აქტუალურ და სათანადო ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ანგარიშგების დროს ქართული ლარის წარსადგენ ვალუტად გამოყენება ქართულ კომპანიებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

სხვაობა გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) სავალუტო კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია საკურსო სხვაობიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში).

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმისათვის, რომ ასახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემა იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. საქონელი ან მომსახურება გადაცემულად ითვლება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

საიჯარო შემოსავალი

კომპანია საიჯარო ურთიერთობაში გამოდის მეიჯარედ. საინვესტიციო ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადებზე.

შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან

აშენებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება თანდათანობით, სანამ ვალდებულება სრულად არ შესრულდება, ამოსავალი მონაცემების მეთოდის გამოყენებით (დღემდე გაწეული დანახარჯების თანაფარდობა მთლიანი პროექტის მოსალოდნელ დანახარჯებთან). ვალდებულების შესრულების პროცენტულობა, რომელიც გამოითვლება შენობის მთლიან დანახარჯებზე დაყრდნობით, გამოიყენება ბინის სარეალიზაციო ფასისთვის, ბინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხავად. აშენებული (შექმნილი) უძრავი ქონების გაყიდვიდან მისაღები თანხები, ჩვეულებრივ, გარიგების ფასის წინასწარ გადახდილ ნაწილს და პერიოდულ გადახდებს მშენებლობის განმავლობაში მომხმარებლის მხრიდან. ამ სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება გადავადებული შემოსავლის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია.

გადავადებული შემოსავალი

სამშენებლო მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დროის განმავლობაში, ვიდრე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების სრულად არ შესრულდება, შესრულებული სამუშაოს მოცულობის პროპორციულად, სამუშაოს შესრულების ყოველთვიურ ანგარიშებში ასახულ წინსვლაზე დაყრდნობით. სამშენებლო მომსახურების ღირებულების გადახდის წესი, ჩვეულებრივ, გულისხმობს გარიგების საფასურის ნაწილის წინასწარ გადახდას (როგორც წესი, 10%-მდე) და ყოველთვიურ გადახდებს კლიენტის მხრიდან მშენებლობის მიმდინარეობის შესაბამისად. მშენებლობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში. დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია. მიღებულ ავანსებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადავადებული შემოსავლის მუხლში.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში, საპროცენტო შემოსავლების ნაწილში.

მოგების გადასახადები.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში ‘გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა’ საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ფლობილ კომერციულ ფართს.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. გარიგების დანახარჯებში შედის უძრავი ქონების გადაცემისთვის გადასახადი, პროფესიული გასამრჯელო იურიდიული მომსახურებისთვის და იჯარის პირველადი საკომისიო, რაც საჭიროა ქონების საექსპლუატაციო მდგომარეობამდე მისაყვანად. საბალანსო ღირებულებაში ასევე შედის არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის გამოცვლის ხარჯი იმ დროისთვის, როცა ეს ხარჯი გაიწია.

საინვესტიციო ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, მაგალითად, საოპერაციო იჯარის გაფორმებით (ან მყარი ვალდებულების აღებით, რომ გაფორმდება საოპერაციო იჯარა). საინვესტიციო ქონებიდან მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, რაც დასტურდება გაყიდვის მიზნით ქონების განვითარების დაწყებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების საზოგადოება შეიცავს სხვდასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოებას სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში კლებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები	5%
მანქანა დანადგარები და სხვ.	20%

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი ფაქტორები

კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება

საზოგადოება ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1-დან 3 დონემდე. ეს დონეები წარმოადგენს შემდეგს:

დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;

დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულებისა;

დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდება;

ფინანსური ინსტრუმენტები დისკონტირებული ღირებულებით

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ხელმძღვანელობის შეფასების შედეგად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვარდება ზემოთ ხსენებული დონეების მესამე დონის განსაზღვრებაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის დისკონტირებულ ღირებულებას.

საოპერაციო ხარჯები

წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებს) მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების, და გადაცემის გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
ამორტიზირებული ღირებულება

არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივები ნებისმიერი ჩამოწერის და გაუფასურების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს ამორტიზაციას გადავადებულ ოპერაციის ღირებულების თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის გადავადებული გადასახადი წარმოშობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შედის საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივებს აქვს შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და დებიტორული მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ)ფინანსური აქტივები რომლების ინახება ვადის გასვლამდე და (დ)ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით დაფიქსირებული მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება.

ფინანსური ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება თავისი სამართლიანი ღირებულებით, ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი) იმ პერიოდში, რომელშიც ის წარმოიქმნება. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულების გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს (ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა რისკს და სარგებელს დაკავშირებულს გადაცემულ აქტივთან და არც ინარჩუნებს მასზე კონტროლს.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკებში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება ზარალში.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი ან აშენებული ქონება აღირიცხება, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულებაში შედის:

მიწის თვითღირებულება; როდესაც მიწის რეკლასიფიკაცია ხდება საინვესტიციო ქონებიდან, მისი სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის ითვლება მის თვითღირებულებად;

სამშენებლო მასალებში გადასახდელი თანხები, ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს, საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, და დისკონტირებულ ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად (თუ არსებითია), რასაც აკლდება დასრულების დანახარჯები და გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები.

მოგებაში ან ზარალში აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება გაყიდვის მომენტისთვის განისაზღვრება, როგორც გაყიდულ ქონებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები და გაყიდული ქონების ფარდობითი ზომის მიხედვით მასზე განაწილებული არაპირდაპირი დანახარჯები.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინებაზე.

გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისათვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

უიმედო აქტივების ჩამოწერისას საამორტიზაციო და ზარალის რეზერვის შემდეგ ყველა აუცილებელი პროცედურა, აქტივის აღსადგენად უკვე დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრული. შემდგომი ამოღება ჩამოწერილი თანხების დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე და ამ ფარგლებში განისაზღვრება მოგება ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

კრედიტული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხი და მისი მიკუთვნება

კრედიტული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხები იქმნება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, როგორც წარსული მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი ეჭვი, იმის, რომ მოხდება სახსრების გადინება ამ ვალდებულებების დასაფარად, რომელიც არის საიმედოდ გამოთვლადი. როდესაც არის რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, ისინი უნდა იყოს მიჩნეული მთლიანობაში, როგორც ვალდებულებების ერთი კლასი.

სახელშეკრულებო ვალდებულებები.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, ასეთ ხელშეკრულებებს საწარმო წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ ორი მოვლენიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები.

ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტინი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

COVID-19–თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესწორება, (რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2020 წლის 1 ივნისს ან მას შემდეგ იწყება). შესწორება მოიჯარეობას (და არა მეიჯარეებს) ათავისუფლებს სურვილისამებრ გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, არის თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ აირჩიონ ქირაზე შეღავათების აღრიცხვა ისევე, როგორც ეს არ იქნება იჯარის ცვლილებები. შედეგად ქირავნობის შეღავათები ჩაითვლება როგორც იჯარის ცვალებადი გადასახადი. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ ქირაზე შეღავათებზე, რომლებიც წარმოიქმნება COVID-19 პანდემიის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: იჯარის გადახდის ცვლილება იწვევს იჯარის შესწორებულ ანაზღაურებას, რაც არსებითად იგივეა, ან ნაკლებია, იჯარის ანაზღაურებაზე ცვლილების წინ უშუალოდ; იჯარის გადახდის ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისამდე ან

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ადრე გადახდაზე; და არ ხდება არსებითი ცვლილება იჯარის სხვა ვადებსა და პირობებში. თუ მოიჯარე აირჩევს პრაქტიკულ მეთოდს იჯარასთან მიმართებით, ის გამოყენებული იქნება ყველა საიჯარო ხელშეკრულებასთან, რომელიც მსგავსი სახისაა და მსგავსი გარემოებები გააჩნია. ცვლილების გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად IAS8-ს შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეები არ არიან ვალდებულები ხელახლა მიუთითონ წინა პერიოდის ციფრები ან გააკეთონ გამჟღავნება IAS8-ს 28(ვ) მუხლის თანახმად. ცვლილებების გამოყენებამ არ იქონია გავლენა როგორც საიჯარო ვალდებულებაზე, ასევე სარგებლობის უფლებით აქტივზე.

საპროცენტო განაკვეთის ორიენტირების (IBOR) რეფორმა – მე-2 ფაზის ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 39, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 7, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 4 და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 16 (გამოქვეყნებულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2021 წლის 1იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). მე-2 ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს რეფორმების განხორციელებიდან, მათ შორის, ერთი ორიენტირის ჩანაცვლებას ალტერნატიული ორიენტირით. ცვლილებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების დასაბუთება IBOR რეფორმის შედეგად საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში; ინსტრუმენტებისთვის, რომლებზედაც ამორტიზირებული ღირებულების გაზომვა ვრცელდება, შესწორებები ითხოვენ ერთეულებს, როგორც პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, შეაფასონ ცვლილების განსაზღვრა IBOR– ის რეფორმის შედეგად მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით ფასს 9 – ის B5.4.5 პუნქტში მითითებების გამოყენებით, რის შედეგადაც, უშუალო მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია IBOR რეფორმის უშუალო შედეგად, ხოლო ახალი საფუძველი ეკონომიკურად ეკვივალენტურია წინა ბაზის. მზღვეველები, რომლებიც იყენებენ ფასს 9 -ის დროებით გათავისუფლებას, ასევე ვალდებულნი არიან გამოიყენონ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16-იც ასევე შეიცვალა, რომ მოიჯარეებმა მოითხოვონ მსგავსი პრაქტიკული მიზანშეწონილობა იჯარის ცვლილებების აღრიცხვისას, რაც ცვლის IBOR– ის რეფორმის შედეგად მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს. დასრულების თარიღი პირველ ფაზაში შეღავათებისთვის, ჰეჯირების ურთიერთობებში კონტრაქტით გაუთვალისწინებელი რისკის კომპონენტებისთვის; მე -2 ფაზის შესწორება მოითხოვს, რომ ერთეულმა პერსპექტიულად შეწყვიტოს 1-ლი ფაზის შეღავათების გამოყენება არაკონტრაქტულად განსაზღვრული რისკის კომპონენტზე უფრო ადრე, როდესაც ცვლილებები განხორციელდება არაკონტრაქტულად განსაზღვრულ რისკის კომპონენტში, ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა შეწყვეტილია. რისკის კომპონენტების 1 ფაზის შესწორებებში დასრულების თარიღი არ იყო მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისას: მე -2 ფაზის ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს ბასს 39 -ისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 9 -ის სპეციფიკური ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან IBOR რეფორმით პირდაპირ დაზარალებულ ურთიერთობებზე.
- IBOR– ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7 დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება: შესწორებები მოითხოვს გამჟღავნებას: (i) როგორ ახორციელებს ერთეული ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე გადასვლას, მის პროგრესს და გარდამავალ რისკებს; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია დერივატივებისა და არა წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ არ არის გადასული, დაყოფილია მნიშვნელოვანი საპროცენტო

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

განაკვეთის ნიშნულის მიხედვით; და (iii) რისკის მართვის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების აღწერა IBOR რეფორმის შედეგად.

IBOR რეფორმის ეფექტი: მარეგულირებლებისთვის პრიორიტეტად იქცა რეფორმა და ბანკთაშორისი სხვადასხვა კოეფიციენტის (IBOR) შეცვლა. IBOR კოეფიციენტების უმრავლესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბერს, მხოლოდ ა.შ.შ. დოლარის LIBOR კოეფიციენტების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისიდან.

ცვლილების გამოყენებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სიახლეები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

გამოშვებულ იქნება გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით და რომელიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის პარტნიორს და მასთან დაკავშირებულ ან ერთობლივი საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სსბსბ-ს მიერ განსაზღვრული თარიღით ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს შესწორებები მიმართულია ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობების აღმოფხვრისკენ, ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისას ან კონტრიბუციისას. შესწორების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ოპერაციაში ჩართულია ბიზნესი. ნაწილობრივი ზარალი ან მოგება აღიარებულია, როცა ოპერაცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, როდესაც მათი მფლობელი შვილობილი კომპანიაა.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად - ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებითი უფლება აქვს გადადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. სახელმძღვანელო მითითებები აღარ საჭიროებს ასეთი უფლების უპირობობას.

მენეჯმენტის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, გამოიყენებენ თუ არა შემდგომში ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ საწარმო საანგარიშო პერიოდის ბოლოს შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ან მანამდე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარი მიღებულია გამსესხებლისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის შეთანხმება დაირღვა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას სესხისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს საკუთარ კაპიტალში კონვერტაციით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალდებულების დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთათვისაც კონვერტაციის ვარიანტი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ინსტრუმენტი, როგორც ნაერთი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. კომპანია მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსავლები დაგეგმილ გამოყენებამდე, დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება, მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე - ბასს 16-ის, ბასს 37-ის და ფასს 3-ის ვიწრო მასშტაბის შესწორებები, და 2018-2020 ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების - ფასს 1-ის, ფასს 9-ს, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის პოზიციის ღირებულებიდან იმ პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას, რომლებიც დამზადდა, როდესაც საწარმო ამზადებდა აქტივს დაგეგმილი გამოყენებისთვის. ამგვარი პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების ღირებულებასთან ერთად, უკვე აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული პოზიციების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს ტესტირებადი აქტივის ცვეთას, რადგან ის არ არის მზად დაგეგმილი გამოყენებისთვის. ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 16 ასევე განმარტავს, რომ ორგანიზაცია ,,ამოწმებს, სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როცა ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მწარმოებლურობას.

აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არაა მნიშვნელოვანი ამ შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, აქტივს შეიძლება უნარი ჰქონდეს იფუნქციონიროს იმ დანიშნულებით, რაც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და ცვეთის გათვალისწინებით, სანამ ის მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ მოსალოდნელი საოპერაციო მაჩვენებლების დონეს.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37 განმარტავს ,,კონტრაქტის შესრულების ხარჯებს“. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე პირობის ჩამოყალიბებამდე, ორგანიზაცია აღიარებს ნებისმიერ საამორტიზაციო ზარალს, რომელიც დადგება კონტრაქტის შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან მიმართებაში და არა ამ კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 შეცვლილ იქნა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მისათითებლად, იმის განსაზღვრისთვის, თუ რა წარმოადგენს აქტივს ან პასივს კომპანიათა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3-ში მითითებული იყო 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. გარდა ამისა, ახალი გამონაკლისი იქნა დამატებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 3 დავალიანებასა და პირობით დავალიანებასთან დაკავშირებით. გამონაკლისი ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი ტიპის დავალიანებისა და პირობითი დავალიანებისთვის, ორგანიზაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 3-ს იყენებს, უნდა მიუთითოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის 21-ე ინტერპრეტაცია, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, ორგანიზაციას შეეძლო ეღიარებინა ზოგიერთი დავალიანება კომპანიათა შერწყმისას, რომელსაც ის არ აღიარებდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, უშუალოდ შემენის შემდეგ, ორგანიზაციას მოუწევდა ამგვარი დავალიანების აღიარების გაუქმება და სარგებლის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებული იყო, რომ

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37, შეძენის თარიღში.

ცვლილება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9 ითვალისწინებს, თუ რა საკომისიო უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური დავალიანების აღიარების გაუქმებისთვის. ხარჯები ან საკომისიო შეიძლება გადახდილ იქნას მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან საკომისიო არ იქნება შეტანილი 10% ტესტში.

საილუსტრაციო მაგალითი 13, რომელიც თანდართულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე 16 შეცვლილ იქნა საიჯარო ქონების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მეიჯარისგან გადახდილი თანხების ილუსტრირების ამოსაღებად. ცვლილების მიზანია საიჯარო შეღავათების აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაძლო გაურკვევლობის მოცილება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს მიიღებს უფრო გვიან, ვიდრე მისი დამფუძნებელი. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და პასივების შეფასება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნებოდა მისი დამფუძნებლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით, თუ კონსოლიდირების პროცედურები არ იყო კორექტირებული და კომპანიათა შერწყმის მიზნით, რომელშიც დამფუძნებელმა შეიძინა შვილობილი კომპანია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 შეცვლილ იქნა, რათა საშუალება მიეცა ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ეს გამონაკლისი, რომ ასევე შეეფასებინათ ჯამური კურსთა შორისი სხვაობები დამფუძნებლის მიერ დაფიქსირებული თანხების გამოყენებით, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ცვლილება ზემოაღნიშნულ გამონაკლისს ავრცელებს ჯამური კურსთა შორის სხვაობებზე, სტანდარტების ახალი მიმღებებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის იგივე გამონაკლისი. ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომ ორგანიზაციებმა არ გაითვალისწინონ გადასახადებით დაბეგვრისთვის ფულადი ნაკადები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 შესაბამისად სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. ეს ცვლილება მიზნად ისახავს შესაბამისობაში მოყვანას მოთხოვნასთან სტანდარტში, ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების თაობაზე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17, "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია პერიოდებისთვის, რომლებიც 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ იწყება). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 ანაცვლებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა ნებართვა განახორციელონ ბუღალტრული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. ამის შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვისთვის, გადაზღვევის კონტრაქტების ჩათვლით, რომლებიც მზღვეველს აქვს. სტანდარტი ითვალისწინებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი საშუალებების (შესრულების ფულადი საშუალებების) რისკებზე კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც მოიცავს მთელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი

საშუალებების შესახებ უტყუარ საბაზრო ინფორმაციასთან შესაბამისობაში; პლუს (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან მინუს (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს მიუღებელ მოგებას კონტრაქტების კომპანიაში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან მათ მიერ სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფის პერიოდის განმავლობაში და როცა ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის გამომწვევი, ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ცვლილებები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ის ცვლილება (გამოქვეყნებულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამარტივებას, სტანდარტისა და გადასვლის ზოგი მოთხოვნის გამარტივებას. ცვლილებები ეხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის რვა სფეროს და ისინი მიზნად არ ისახავს სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების გათვალისწინებით) გადავადებულია ორი წლის ვადით წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ; ხოლო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 4-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადაწეულია წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ;

- დაზღვევის მოზიდვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: ორგანიზაციამ უნდა გამოყოს დაზღვევის მოზიდვის ხარჯები კონტრაქტების მოსალოდნელ გაგრძელებასთან დაკავშირებით და ეს ხარჯები უნდა აღიაროს აქტივად მანამ, სანამ ორგანიზაცია აღიარებს კონტრაქტის გაგრძელებას. ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ აქტივის ანაზღაურებადობა ყოველ ანგარიშგების თარიღს და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებასთან დაკავშირებული საკონტრაქტო მომსახურების მარჟა: უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები, სადაზღვევო დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების ბენეფიტების რაოდენობისა და მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვალებადი საკომისიოს მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის, ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის მომსახურებით “, ზოგადი მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილ უნდა იქნას ფულადი ნაკადების მოძრაობის სახით, სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც ორგანიზაცია ასრულებს ამგვარ საქმიანობას სადაზღვევო პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ბენეფიტების გასაძლიერებლად.
- არსებული გადაზღვევის კონტრაქტები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც ორგანიზაცია აღიარებს ზარალს ძირითადი დამამძიმებელი სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან ჯგუფში დამამძიმებელი კონტრაქტების დამატებისას, ორგანიზაციამ უნდა დააკორექტიროს არსებული

გადაზღვევის კონტრაქტების დაკავშირებული კომპანიის საკონტრაქტო მომსახურების მარჟა და აღიაროს ნამატი არსებულ გადაზღვევის კონტრაქტებზე. არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან ანაზღაურებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო

- კონტრაქტებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით ძირითადი სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული პრეტენზიების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის ანაზღაურებასაც გეგმავს ორგანიზაცია არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან. ეს მოთხოვნა გავრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებული გადაზღვევის კონტრაქტი აღიარებულ იქნება იმ დრომდე ან იმავე დროს, როცა აღიარებულ იქნება ზარალი ძირითად სადაზღვევო კონტრაქტებზე.
- სხვა ცვლილებები: სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) კონტრაქტებისა და ზოგი სასესხო კონტრაქტისთვის; სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და პასივების წარმოდგენას პორტფოლიოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯგუფების ნაცვლად; რისკების შერბილების ვარიანტის გამოყენებადობას ფინანსური რისკების შერბილებისას არსებული გადაზღვევის კონტრაქტებისა და არადერივაციული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის საშუალებით; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული გაანგარიშებების შესაცვლელად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომელიც ეკისრება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად ფულადი ნაკადების შესრულებისას; და გადასვლის შერჩეულ შეღავათებს და სხვა მცირე ცვლილებებს.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად, ამოქმედების თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს-1 შესწორებები, რომლებიც შეეხება ვალდებულებების კლასიფიკაციას როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიან ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში და ამოქმედების თარიღად მითითებული იყო 2022 წლის 1-ლი იანვარი. კოვიდ-19-ით გამოწვეული გარემოებების გამო ამოქმედების თარიღმა გადაიწია ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ კლასიფიკაციის ცვლილებების განხორციელების საშუალება, რომელიც სტანდარტის ცვლილებას მოყვება შედეგად. გუნდი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები IAS (ბასს) 1 -ში და ფასს -ის პრაქტიკაში განცხადება 2: ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამჟღავნება (გამოქვეყნებულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შეიცვალა იმის მოთხოვნით, რომ კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი მატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა. შესწორებამ უზრუნველყო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მატერიალური ინფორმაციის განსაზღვრა. შესწორებამ ასევე განმარტა, რომ საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოსალოდნელია რომ იქნება მატერიალური, თუ ამის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ ექნებათ საშუალება გაიგონ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში. შესწორებამ მოიტანა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც სავარაუდოდ განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ერთეულის ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1 – ის შესწორება განმარტავს, რომ არამატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია არ უნდა იყოს გამჟღავნებული. თუმცა, თუ ის გამჟღავნებულია, ის არ უნდა ფარავდეს საბუღალტრო პოლიტიკის მატერიალურ ინფორმაციას. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს -ის პრაქტიკის პრაქტიკა 2, „არსებითი განაჩენების გამოტანა “ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოს მითითებები, თუ როგორ გამოიყენოს მნიშვნელოვანი კონცეფცია საბუღალტრო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ცვლილებები ბასს 8 -ში: ბუღალტრული აღრიცხვის განსაზღვრა (გაცემული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 8 -ის შესწორება განმარტავს, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19– თან დაკავშირებული გაქირავების შეღავათები-ცვლილებები IFRS 16 – ში (გაცემული 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ). 2020 წლის მაისში გამოქვეყნდა ფასს 16-ის შესწორება, რომელიც მოიცავდა არჩევით პრაქტიკულ მიზანშეწონილობას მოიჯარეთა მიერ იმის შეფასებაში, იყო თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირაზე დათმობა, რამაც გამოიწვია იჯარის ანაზღაურების შემცირება 2021 წლის 30 ივნისამდე ან მანამდე, იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა ცვლილებამ გააგრძელა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თარიღი 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომელიც წარმოიქმნება ერთი გარიგების შედეგად - ცვლილებები ბასს 12 -ში (გამოქვეყნებულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 12 -ის ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, როგორიცაა იჯარა და ვალდებულებებიდან გამოსვლის ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, ერთეულები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გარკვეული გაურკვევლობა იმის შესახებ, გამოიყენებოდა თუ არა გათავისუფლება ისეთ გარიგებებზე, როგორიცაა იჯარა და ვალდებულებების გაუქმება - გარიგებები, რომლებისთვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ასევე ვალდებულება. ცვლილებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება და რომ ერთეულებს მოეთხოვებათ აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. შესწორებები მოითხოვს კომპანიებს აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იწვევს თანაბარი ოდენობით დასაბეგრ და გამოქვითულ დროებით განსხვავებებს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასვლის ვარიანტი მზღვეველების მიმართ, რომლებიც იყენებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 17-ს (გამოქვეყნებულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

გადასვლის მოთხოვნების ცვლილებები ფასს 17-ში მზღვეველებს ამლევს იმის შესაძლებლობას, რომ ისარგებლონ იმ ინფორმაციის გამოსადეგობის გაუმჯობესებით, რომელიც მიეწოდება ინვესტორებს ფასს-17-ის თავდაპირველი გამოყენებისას. ცვლილება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს-17-ზე და არ აქვს გავლენა ფასს-17-ის სხვა მოთხოვნებზე. გადასვლის მოთხოვნები ფასს-17-სა და ფასს-9-ში გამოიყენება სხვადასხვა თარიღებში და შედეგად გვაძლევს კლასიფიკაციის ერთჯერად განსხვავებებს ფასს 17-ის საწყის გამოყენებაში წარმოდგენილ შედარებად ინფორმაციასთან; მიმდინარე ღირებულებით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და ამორტიზებული ხარჯებით გამოქვითულ ფინანსურ აქტივებს შორის არსებულ საბუღალტრო აღრიცხვის შეუსაბამობებს; და თუ რომელიმე საწარმო გადაწყვეტს ხელახლა წარმოადგინოს შედარებადი ინფორმაცია ბასს9-თვის, კლასიფიკაციის განსხვავებები შედარებად პერიოდში ჩამოწერილ ფინანსურ აქტივებს (რომელთან მიმართებაშიც არ გამოიყენება ბასს 9) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომელთა მიმართებითაც გამოიყენება ბასს 9), შესწორება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ დროებითი სააღრიცხვო

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შეუსაბამობები და გააუმჯობესონ შედარებადი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ეს კეთდება მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შედარებადი ინფორმაციის მიწოდების ვარიანტით. ბასს 17-ის თავდაპირველად გამოყენებისას ორგანიზაციას შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით შეუძლია გამოიყენოს კლასიფიკაციის სქემა ფინანსურ აქტივთან მიმართებით, რომლისთვისაც საწარმო არ წარმოადგენს ხელახლა ბასს9-ის შედარებად ინფორმაციას. გადასვლის ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება ინსტრუმენტიდან ინსტრუმენტზე საფუძველზე. ის საშუალებას მისცემს საწარმოს წარმოადგინოს შედარებადი ინფორმაცია იმ სახით, თუ მოხდებოდა ბასს 9-ს კლასიფიკაციის და გაზომვის მოთხოვნების გამოყენება ამ ფინანსურ აქტივთან მიმართებით, მაგრამ არ არის საჭირო საწარმოს მიერ ბასს-9-ს გაუფასურების მოთხოვნის გამოყენება. და ითხოვს, რომ ორგანიზაციამ, რომელიც იყენებს კლასიფიკაციის სქემას ფინანსურ აქტივთან მიმართებით, გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღში, რათა განსაზღვროს, თუ რა სახით მოელის საწარმო ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ბასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ სხვაგვარად არ არის აღწერილი ზემოთ, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. შემოსავლები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან		
საცხოვრებელი ფართების და აპარტამენტების რეალიზაცია	27,687,450	15,404,607
ავტოსადგომის რეალიზაცია	149,727	75,592
სულ შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან	**27,837,177**	**15,480,199**
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან		
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	3,519,749	9,182,644
სულ შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	**3,519,749**	**9,182,644**
სხვა შემოსავალი		
ნედლეული და მასალების რეალიზაცია	652,577	662,508
სულ სხვა შემოსავალი	**652,577**	**662,508**
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**28,489,754**	**16,142,707**
აღიარებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში	27,812,621	15,759,033
აღიარებული დროის გარკვეულ მომენტში	677,133	383,673
საოჯარო შემოსავალი	**802,938**	**672,512**
სულ შემოსავალი	**32,812,441**	**25,997,862**

კომპანიამ აღიარა 64,352,153 ლარის შემოსავალი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში (2020 წლ: 17,834,419 ლარი), რომელიც უკავშირდება 1 იანვრის მდგომარეობით გადავადებულ შემოსავალში შესულ მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული:

31 დეკემბერი, 2021	2021 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	*3-5 წლის შემდეგ*	*სულ*
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ აქტიურ ხელშეკრულებებზე	19,305,646	22,523,254	16,088,038	6,435,215	**64,352,153**

31 დეკემბერი, 2020	2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	*3-5 წლის შემდეგ*	*სულ*
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ აქტიურ ხელშეკრულებებზე	17,834,419				**17,834,419**

კომპანია იყენებს ფასს 15-ის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით კომპანიამ შემდეგი აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	49,151,436	22,235,496
გადავადებული შემოსავალი	15,200,717	17,834,419

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შედგება შემდეგისგან:

	2,021	2,020
ბინების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები	28,510,314	5,688,178
არასაოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	6,506,267	6,520,969
სამშენებლო მომსახურებასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	13,472,594	9,887,240
სხვა დებიტორული დავალიანება	662,261	139,109
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**49,151,436**	**22,235,496**
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**49,151,436**	**22,235,496**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, ძირითადად, გამოხატულია აშშ დოლარში და მათი დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 1-2 თვეა.

ბინების გაყიდვის შედეგად სახელშეკრულებო ფასის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული მოთხოვნების აღიარება ხდება იმ მომენტში, როცა ბინა რეგისტრირდება მომხმარებლის სახელზე. ბინების გაყიდვასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება იფარება მოთხოვნამდე და საანგარიშგებო თარიღიდან ერთ თვემდე ვადაში.

გადავადებული შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული გადავადებული შემოსავალი	11,210,244	13,034,215
გრძელვადიანი გადავადებული შემოსავალი	**11,210,244**	**13,034,215**
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული გადავადებული შემოსავალი	3,990,472	4,800,204
მოკლევადიანი გადავადებული შემოსავალი	**3,990,472**	**4,800,204**

გადავადებული შემოსავალი შედგება მომხმარებლების მიერ საცხოვრებელი ფართის შესაძენად გადახდილი ავანსებისგან, დღგ-ის გარეშე, და სამშენებლო მომსახურებისთვის მიღებული ავანსებისგან. პერიოდის განმავლობაში გადავადებულ შემოსავალში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები, ძირითადად, ეხება მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც დროთა განმავლობაში შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, და საავანსო გადახდებს, რომლებიც მიიღება სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულებების და მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონებას გაყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე.

7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	30 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების თვითღირებულება:		
საცხოვრებელი ფართების და აპარტამენტების თვითღირებულება	9,154,692	8,637,377
ავტოსადგომის თვითღირებულება	117,187	24,395
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების თვითღირებულება	**9,271,879**	**8,661,772**
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება	3,010,133	7,358,177
სულ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება	**3,010,133**	**7,358,177**
ქონების საოპერაციო ხარჯები:		
ცვეთა	15,730	16,558
დაზღვევა	2,609	2,420
კომუნალური მომსახურების კომპანიები	1,379	5,055
ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	702	1,015
ქონების გადასახადი	-	3,229
ქონების საოპერაციო ხარჯები:	**20,419**	**28,276**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების დანახარჯები		
ხელფასი	128,477	-
კომუნალური მომსახურების ხარჯი	115,091	-
სასტუმროს სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ხარჯები	4,876	-
სასტუმროს სარეკლამო მომსახურება	3,076	-
სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების დანახარჯები:	**251,521**	**-**
საქონლის/ნედლეულის თვითღირებულება:		
ნედლეული და მასალების თვითღირებულება	524,880	616,641
რეალიზებული ნედლეულის და მასალების თვითღირებულება	**524,880**	**616,641**

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	199,064	13,419
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	114,639	36,910
თანამშრომლების კვება	61,790	23,478
ქონების გადასახადი.	36,480	8,833
სატრანსპორტო და სხვა მომსახურება	24,122	78,365
ბანკის საკომისიო	22,867	8,347
საჯარო რეესტრის ხარჯი	16,499	9,816
კომუნალური მომსახურების ხარჯი	3,508	57,891
წარმომადგენლობითი ხარჯი	160	6,010
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**479,129**	**243,069**

აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):	2021	2020
გასამრჯელო 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	**25,000**	**25,000**

9. საინვესტიციო ქონება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საინვესტიციო ქონების მოძრაობა წლების განმავლობაში:

2021 წელი	შემოსავლიანი აქტივი (კომერციული ფართი)	სხვა	*სულ*
დეკემბერი 31, 2019	**331,158**	**-**	**331,158**
შესყიდვები	-	-	-
მიმდინარე წლის ცვლა	(16,558)		**(16,558)**
დეკემბერი 31, 2020	**314,600**	**-**	**314,600**
შესყიდვები	-	-	-
გასვლა	(298,870)		
მიმდინარე წლის ცვლა	(15,730)		**(15,730)**
დეკემბერი 31, 2021	**-**	**-**	**-**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შემოსავლიან აქტივი წარმოადგენდა საოფისე (კომერციული) შენობას, რომელიც რეალიზებულ იქნა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში და ცვეთა დარიცხულია გაყიდვის მომენტამდე.

10. მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება თითოეულ პროექტზე შემდეგნაირად ნაწილდება:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ქ, ბათუმი, ბარათაშვილის 24	697,152	1,765,713
ქ, ბათუმი, ვაჟა ფშაველას 17	262,075	262,075
ქ, ბათუმი, ზ. გორგილაძის 94	86,014	134,873
ქ. ბათუმი პუშკინის ქ.#13 / ფალავანდიშვილის ქ. #7-9	23,288	98,466
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ.#19	2,598,593	3,691,927
ქ. ბათუმი ჟიული შარტავას გამზირი #8	17,455,325	17,646,761
მარაგებად კლასიფიცირებული ფართები	**21,122,447**	**23,599,815**
სამშენებლო მარაგები	6,484,983	6,085,085
დაუმთავრებელი წარმოება	-	4,489,978
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	**27,607,430**	**34,174,878**

ქვემოთ მოკლედ არის წარმოდგენილი მოძრაობა მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონების:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**34,174,878**	**32,673,863**
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-3 შენიშვნა)	-	-
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**34,174,878**	**32,673,863**
მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები	5,822,537	10,779,428
ძირითად საშუალებად რეკლასიფიცირებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები (მე-11 შენიშვნა)	(2,593,226)	-
გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში აღიარებული გასვლები (მე-6 შენიშვნა)	(9,796,759)	(9,278,413)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27,607,430**	**34,174,878**

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	**193,000**	**-**	**1,771,975**	**8,534**	**1,973,509**
მატება	-	-	-	-	**-**
კლება	-	-	(152,869)	-	**(152,869)**
დეკემბერი 31, 2020	**193,000**	**-**	**1,619,106**	**8,534**	**1,820,640**
მატება	-	2,593,226	1,830,442	6,376	**4,430,045**
კლება	-		(1,442,561)	-	**(1,426,874)**
დეკემბერი 31, 2021	**193,000**	**2,593,226**	**2,022,673**	**14,910**	**4,823,810**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ომარი ჭაღალიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					-
დეკემბერი 31, 2019	**-**	**-**	**(884,357)**	**(7,581)**	**(891,938)**
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(122,903)	(520)	**(123,423)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	20,432		**20,432**
დეკემბერი 31, 2020	**-**	**-**	**(986,828)**	**(8,101)**	**(994,929)**
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(129,661)	(301,123)	(433)	**(431,217)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	**-**
დეკემბერი 31, 2021	**-**	**(129,661)**	**(1,287,951)**	**(8,534)**	**(1,426,146)**
ნარჩენი ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	**193,000**	**-**	**887,618**	**953**	**1,081,572**
დეკემბერი 31, 2020	**193,000**	**-**	**632,278**	**433**	**825,711**
დეკემბერი 31, 2021	**193,000**	**2,463,565**	**734,723**	**6,376**	**3,397,664**

12. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონებაში გადახდილი ავანსები	2,729,032	3,203,611
საგადასახადო აქტივი	453,380	812,786
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	50,000	50,000
სულ გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	**3,232,412**	**4,066,397**

13. ფინანსური ინსტრუმენტები

გაცემული სესხები

31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	18,046,570	17,608,300
სულ გრძელვადიანი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები,	**18,046,570**	**17,608,300**
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	1,997,920	2,376,369
სხვა მხარეზე გაცემული სესხი	-	116,319
სულ მოკლევადიანი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები,	**1,997,920**	**2,492,689**
სულ გაცემული სესხები	**20,044,490**	**20,100,989**
მოკლევადიანი ნაწილი	1,997,920	2,492,689
გრძელვადიანი ნაწილი	18,046,570	17,608,300
	2021	**2020**
გაცემულ სესხებზე მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა:	1,838,125	2,186,047

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საწარმოს გაცემული აქვს სესხი დაკავშირებულ მხარეებთან (შენიშვნა 17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან). გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურად 10 %-ს. გაცემული გრძელვადიანი სესხი დასაფარია 60 თვის განმავლობაში 2025 წლის 1 ივლისამდე, ხოლო გაცემული მოკლევადიანი სესხი დასაფარია 12 თვის განმავლობაში 2022 წლის 24 სექტემბრამდე.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,286	746
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	268,443	7,304
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29,730	7,073
სულ ფულადი სახსრები	**300,459**	**15,123**

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, ძირითადად, შედგება მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე გადასახდელი თანხებისგან. ეს დავალიანება ძირითადად აშშ დოლარშია გამოხატული და დასაფარია საანგარიშგებო თარიღიდან 3-6 თვეში.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მშენებლობასთან დაკავშირებული დავალიანება	7,960,843	5,627,552
მარკეტინგი და რეკლამა	-	195,754
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**7,960,843**	**5,823,306**

სხვა ვალდებულებები

დანარჩენი ვალდებულებები, ძირითადად, მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საგადასახადო ერთიანი სახაზინო	529,253	2,721.37
სხვა ვალდებულებები	52,508	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**581,762**	**2,721**

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების

ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

15. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ფული და ფულის ექვივალენტები	300,459	15,123
გაცემული სესხები	20,044,490	20,100,989
ვალდებულებები	23,743,322	23,660,447
	(3,398,373)	**(3,544,335)**

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2020
USD	23,527,318	14,991,344	5,840,832	17,777,626
EUR	3276	168,431	-	11,486
TRL	-	1,344.45	-	-
ჯამი	**23,530,594**	**15,161,120**	**5,840,832**	**17,789,112**

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

	გავლენა აქტივის		გავლენა პასივებზე	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
2021 მოგება/(ზარალი)	4,706,119	(4,706,119)	3,032,224	(3,032,224)
2020 მოგება/(ზარალი)	1,168,166	(1,168,166)	3,557,822	(3,557,822)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა მშენებლობა.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო მოთხოვნები	10,657,272	10,657,272
ფული და ფულის ექვივალენტები	1,238,257	1,238,257
	11,895,529	**11,895,529**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

რევაზი დარჩიძე **ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი **მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები მოცემულია შემდეგნაირად:

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	**2021**	**2020**
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	27,413,703	15,522,838
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით		**2,020**
მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	46,091,350	20,332,489
გაცემული სესხები, დარიცხული პროცენტები	**2021**	**2,020**
სესხის გაცემა	2,140,000	2,071,800
დარიცხული პროცენტები	1,832,535	2,164,020
სასესხო მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	**2021**	**2,020**
სასესხო მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	20,044,490	19,975,782
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან		**2,020**
საქონლის ყიდვა/მომსახურების მიღება სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	4,354,742	4,461,714
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებიდან	**2021**	**2,020**
ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	6,815,344	3,742,865

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან:

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია წარმოდგენილია ქვემოთ:	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	130,758	129.580
	130,758	**129.580**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2021
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	1 450 000
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	50 000
შევსებული კაპიტალის ოდენობა	1 400 000

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალურია გაცვლითი კურსი გახლდათ შემდეგი: ერთი აშშ დოლარი = 2.8261ლარი და ევრო 1 = 2.8204

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 19 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____	_____
რევაზი დარჩიძე	**ომარი ჭაღალიძე**
დირექტორი	**მთავარი ბუღალტერი**

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „DAR BUILDING “

მმართველობის ანგარიშგება

(2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ქ. ბათუმი

2022 წელი

მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,DAR BUILDING" (შემდგომში ,,საზოგადოება") რეგისტრირებულია 2013 წლის 02 თებერვალს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ფიროსმანის №19. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე რევაზ დარჩიძე (100%). საზოგადოების დირექტორია რევაზ დარჩიძე პ.ნ 58001002715 დაბადების წელი 24.09.1960 წელი.

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით, მომზადებულია უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,DAR BUILDING" არის ქართული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქ, ბათუმში საცხოვრებელი სახლების, სასტუმრო აპარტამენტების და კომერციული დანიშნულების შენობების მშენებლობა და რეალიზაცია. აღნიშნულ საქმიანობას კომპანია 5 წელზე მეტია წარმატებით ახორციელებს და რეგიონში შესაბამის ბაზარზე იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ადგილს.

კომპანიის მიერ დასრულებული პროექტებია:

1. **ქ, ბათუმი, გორგილაძის 94-ში საცხოვრებელი სახლი**



2. ქ, ბათუმი, პუშკინის 13-ში საცხოვრებელი სახლი



3. ქ, ბათუმი, ვაჟა-ფშაველას 17-ში საცხოვრებელი სახლი



4. ქ, ბათუმი, ზარათაშვილის 24-ში საცხოვრებელი სახლი



5. ქ, ბათუმი, შარტავას 8



6. ქ. ბათუმი, ფიროსმანის 19



ქ, ბათუმში, შარტავას 8-ში და ქ, ბათუმი, ფიროსმანის N19-ში მდებარე პროექტებს მიენიჭა ტურისტული საწარმოს სტატუსი.

კომპანიის პროდუქტის მყიდველები არიან, როგორც რეზიდენტი ისე არარეზიდენტები ფიზიკური და იურიდიული პირები: რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, პაკისტანი, ჩინეთი, საბერძნეთი.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 33,362,951 ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 21,807,465 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 103,612,729 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 79,869,407 ლარია.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

კომპანია ყოველთვიურად ახორციელებს ფინანსური ანგარიშგებისა და სხვადასხვა სახის რეპორტების მომზადებას, რაც ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს მოახდინოს ფინანსური რისკების შეფასება. შესაბამის ანალიტიკაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს სტრატეგიას, მოხდეს გადახდისუნარიანობის რისკების დაზღვევა, სესხის მომსახურების კოეფიციენტების დაცვა, ფულადი ნაკადების რისკების მართვა და სხვა. შპს ,, DAR BUILDING" წარმოადგენს სწრაფად განვითარებად კომპანიას, რის გამოც თითქმის ყოველწლიურად უწევს საკმაოდ დიდი ოდენობით კაპიტალური დანახარჯების გაღება. წინასწარ ახდენს კაპიტალური დანახარჯების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტების დათვლას. განიხილავს და აფასებს ფინანსური სახსრების მოზიდვის გზებს, კომპანიის სტაბილურობას და მხოლოდ აღნიშნულზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას კაპიტალურ დანახარჯებზე თანხების მისამართად.

ყოველი წლის დასაწყისში კომპანიის მენეჯმენტი, გაყიდვების და შესყიდვების სამსახურთან ერთად, გასული წლის შედეგებზე და სამომავლო პერსპექტივებსა და მოლოდინებზე დაყრდნობით, ადგენს გაყიდვების წლიურ გეგმას, რომელიც ჩაშლილია თვეების მიხედვით. აღნიშნული გეგმა ეხმარება კომპანიას მოახდინოს დათვლა კონკრეტულ თვეში დაახლოებით რა თანხის მობილიზებას შეძლებს. რაც ამცირებს ფულადი სახსრების უკმარისობის რისკს. ყოველთვიურად, მიმართულებების მიხედვით ხდება შედეგების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა გეგმებში და ბიუჯეტში. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორმა, როგორიცაა ვალუტის კურსის ცვლილება და ფასების მკვეთრი ცვლილება ქართულ ბაზარზე. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ინფორმირებულია კურსთა შორის სხვაობებთან მიმართებაში. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება ისახება პროდუქციის გასაყიდ ფასებზე, რაც ახდენს კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებას.

ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს უზრუნველყოს საზოგადოებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.

კომპანია მუდმივად ახდენს ბაზრის კვლევას, იღებს მონაწილეობას უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენებზე, სადაც ახდენს კომპანიის განხორციელებული, მიმდინარე და სამომავლო პროექტების პრეზენტირებას. ასევე ახდენს შავი ზღვის რეგიონის, როგორც ტურისტული ქალაქის, ასევე ინვესტირებისათვის საუკეთესო ადგილის გაცნობას, რომელიც გამორჩეულია არქიტექტურით, ევროპული უბნებით, მზარდი ეკონომიკით, უსაფრთხო გარემოთი, და წარმოადგენს ტურისტების საყვარელ ქალაქს.

კომპანია მკაცრად იცავს მშენებლობის ვადებს, რაც გულისხმობს მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებას.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, შესთავაზოს მომხმარებელს მაღალხარისხიანი, ფინანსურად ხელმისაწვდომი და ლამაზი არქიტექტურული სამშენებლო პროექტები. მყიდველებს სთავაზობს ბინებს და აპარტამენტებს, როგორც შავი

კარკასით, ასევე დასრულებული რემონტით.

- კომპანიის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უპასუხოს ევროპული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- აპარტამენტების მყიდველი ავტომატურად ერთვება ბიზნესშიც, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ მყიდველს საშუალება აქვს საკუთარი ბინა გააქირავოს და მეტი კომფორტისთვის ადმინისტრირებას DAR BUILDINGI გაუწევს.
- კომპანიის მიზანია განახორციელოს ახალი, მასშტაბური სამშენებლო პროექტები და მყიდველებს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შესთავაზოს მაღალხარისხიანი, გამორჩეული საცხოვრებელი და სხვა ტიპის სასტუმრო აპარტამენტები.

განვითარების რესურსები:

კომპანიას სამომავლო პროექტების განსახორიცლებლად გააჩნია საჭირო გამოცდილება და როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები.

სოციალური და დასაქმების საკითხები:

საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი, პერსონალთან მუშაობა იწყება მათი მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით, შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას, მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა, მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.


საზოგადოების ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. კომპანიის საბუღალტრო სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. ისინი რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, რათა გაეცნონ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ ცვლილებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებლებთან პირნათელი ურთიერთობა, რომელსაც იგი წარმატებით ახორციელებს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 19 სექტემბერს.

რევაზი დარჩიძე

დირექტორი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„DAR BUILDING “

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2022

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „DAR BUILDING “

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-38

1. შესავალი 11
2. მომზადების საფუძველი 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა 20
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები 20
7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 30
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31
9. საინვესტიციო ქონება 31
10. მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება 32
11. ძირითადი საშუალებები 32
12. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები 33
13. ფინანსური ინსტრუმენტები 33
14. პირობითი ვალდებულებები 34
15. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები 35
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 37
17. კაპიტალის მართვა 38
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 38
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 38

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „DAR BUILDING "

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „DAR BUILDING "-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საბუღალტრო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, საბუღალტრო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე

დირექტორი

2022 წლის 19 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „DAR BUILDING "-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „DAR BUILDING "-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს, DAR BUILDING "-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „DAR BUILDING "-ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ,,DAR BUILDING “-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ,,DAR BUILDING “-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,DAR BUILDING “-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „DAR BUILDING "-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „DAR BUILDING " უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „DAR BUILDING "-ის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტ-აუდიტის" სახელით (რეგ. № SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ: SARAS-A-730184)

19 სექტემბერი 2022 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება"DAR BUILDING"
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	6	27,837,177	15,480,199
გაყიდული საქონლის თვითღირებულება - მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	7	(9,271,879)	(8,661,772)
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული საერთო მოგება		**18,565,298**	**6,818,428**
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	6	3,519,749	9,182,644
სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება	7	(3,010,133)	(7,358,177)
საერთო მოგება სამშენებლო მომსახურებიდან		**509,615**	**1,824,467**
საიჯარო შემოსავალი	6	802,938	672,512
ქონების საოპერაციო ხარჯები	7	(20,419)	(28,276)
წმინდა საიჯარო შემოსავალი		**782,519**	**644,236**
საქონლის/ნედლეულის რეალიზაცია	6	652,577	662,508
საქონლით/ნედლეულის თვითღირებულება	7	(524,880)	(616,641)
საქონლის/ნედლეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი		**127,697**	**45,867**
შემოსავალი სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებიდან	6	550,509	-
სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების დანახარჯები	7	(251,521)	-
მოგება/ზარალი სარესტორნო და სასტუმრო მომსახურებიდან		**298,989**	**-**
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ადმინისტრაციული ხარჯი		(699,714)	(571,631)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(479,129)	(243,069)
ცვეთა	11	(415,531)	(122,903)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი		(178,481)	(126,051)
არარეგულარული ხარჯები		(12,206)	(40,816)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**18,499,059**	**8,228,526**
საპროცენტო შემოსავალი	13	1,838,125	2,186,047
საკურსო მოგება/ზარალი		(384,028)	1,187,323
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		1,493,043	529,850
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		482,428	28,469
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**21,928,627**	**12,160,215**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		**21,928,627**	**12,160,215**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ოთარ ბულაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING"
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარში)

	შენიშვნები	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	9	-	314,600
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	10	27,607,430	34,174,878
ძირითადი საშუალებები	11	3,391,288	825,278
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	11	6,376	433
გაცემული გრძელვადიანი სესხები	13	18,046,570	17,608,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		**49,051,664**	**52,923,489**
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	12	3,232,412	4,066,397
გაცემული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი.	13	1,997,920	2,492,689
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	49,151,436	22,235,496
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13	300,459	15,123
სულ მოკლევადიანი აქტივები		**54,682,227**	**28,809,705**
სულ აქტივები		**103,733,892**	**81,733,194**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	1,400,000	1,400,000
გაუნაწილებელი მოგება		78,590,570	56,672,748
სულ საკუთარი კაპიტალი		**79,990,570**	**58,072,748**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	6	11,210,244	13,034,215
გრძელვადიანი ვალდებულებები		**11,210,244**	**13,034,215**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი.	6	3,990,472	4,800,204
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	7,960,843	5,823,306
სხვა ვალდებულებები	13	581,762	2,721
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**12,533,078**	**10,626,231**
სულ ვალდებულებები		**23,743,322**	**23,660,447**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**103,733,892**	**81,733,194**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

თამარი წულაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING"
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2019	**1,400,000**	**47,625,606**	**49,025,606**
გაცემული დივიდენდი		(3,113,074)	**(3,113,074)**
მოგება წლის განმავლობაში		12,160,215	**12,160,215**
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2020	**1,400,000**	**56,672,748**	**58,072,748**
გაცემული დივიდენდი		(10,805)	**(10,805)**
მოგება წლის განმავლობაში		21,928,627	**21,928,627**
საწესდებო კაპიტალი			-
31 დეკემბერი, 2021	**1,400,000**	**78,590,570**	**79,990,570**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	8,932,676	10,218,737
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,369,537)	(13,055,711)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(669,513)	(479,475)
გადახდილი გადასახადები	(1,983,861)	(72,345)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1,090,235)**	**(3,388,793)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(842,591)	-
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	345,455	675,212
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(497,136)**	**675,212**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხის ძირი	3,235,664	5,154,970
სესხის გაცემა	(2,140,000)	(2,071,800)
მიღებული პროცენტი	796,576	1,410,794
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(9,269)	(46,098)
დივიდენდის განაწილება	(10,265)	(2,957,420)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**1,872,706**	**1,490,446**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	**285,336**	**(1,223,134)**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	**15,123**	**1,238,257**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	**300,459**	**15,123**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ანზორ ჯაფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING "

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING " დაფუძნებულია 2006 წელს. საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია პუშკინის ქუჩა N18, ბათუმი, საქართველო. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე რევაზი დარჩიძე (100%).

შპს „DAR BUILDING" არის ქართული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქ, ბათუმში საცხოვრებელი სახლების, სასტუმრო აპარტამენტების და კომერციული დანიშნულების შენობების მშენებლობა და რეალიზაცია. აღნიშნულ საქმიანობას კომპანია 5 წელზე მეტია წარმატებით ახორციელებს და რეგიონში შესაბამის ბაზარზე იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ადგილს.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრე-ბენეფიციარი იყო:

	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
რევაზი დარჩიძე	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ბასს").

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

2021 წელს მოთხოვნა შედარებით გაიზარდა კომპანიის პროდუქტებზე წინა წლებთან შედარებით, რაც განაპირობა სამშენებლო სამუშაოების ბაზრების ზრდამ. შედეგად წარმოება და მოთხოვნა გაიზარდა, რადგან კომპანიის პროდუქცია არის სამშენებლო სამუშაოების განუყოფელი ნაწილი.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

რამაზ ბუღალტერი
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

უწყვეტობის პრინციპი

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნა დადებითი დინამიკა პანდემიიდან აღდგენის კუთხით. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასების არსებობა განაპირობებს ინფლაციას საქართველოში. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიაზე შემცირდა.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

არსებული სამუშაო გარემოს შემდგომი განახლებებისთვის იხილეთ მე-18-ე შენიშვნა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი, რომელიც არის კომპანიის ხელშეკრულებების აბსოლუტური უმრავლესობის ვალუტა და რომელშიც ხდება მარაგებად კლასიფიცირებული ქონების განფასება. კომპანია სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტას იმიტომ იყენებს, რომ მისი აზრით, ეს ვალუტა უფრო აქტუალურ და სათანადო ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ანგარიშგების დროს ქართული ლარის წარსადგენ ვალუტად გამოყენება ქართულ კომპანიებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

თამარ ჯაფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სხვაობა გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) სავალუტო კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია საკურსო სხვაობიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში).

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმისათვის, რომ ასახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემა იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. საქონელი ან მომსახურება გადაცემულად ითვლება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს.

კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

საიჯარო შემოსავალი

კომპანია საიჯარო ურთიერთობაში გამოდის მეიჯარედ. საინვესტიციო ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადებზე.

შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან

აშენებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება თანდათანობით, სანამ ვალდებულება სრულად არ შესრულდება, ამოსავალი მონაცემების მეთოდის გამოყენებით (დღემდე გაწეული დანახარჯების თანაფარდობა მთლიანი პროექტის მოსალოდნელ დანახარჯებთან). ვალდებულების შესრულების პროცენტულობა, რომელიც გამოითვლება შენობის მთლიან დანახარჯებზე დაყრდნობით, გამოიყენება ბინის სარეალიზაციო ფასისთვის, ბინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხავად. აშენებული (შექმნილი) უძრავი ქონების გაყიდვიდან მისაღები თანხები, ჩვეულებრივ, გარიგების ფასის წინასწარ გადახდილ ნაწილს და პერიოდულ გადახდებს მშენებლობის განმავლობაში მომხმარებლის მხრიდან. ამ სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება გადავადებული შემოსავლის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია.

გადავადებული შემოსავალი

სამშენებლო მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დროის განმავლობაში, ვიდრე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების სრულად არ შესრულდება, შესრულებული სამუშაოს მოცულობის პროპორციულად, სამუშაოს შესრულების ყოველთვიურ ანგარიშებში ასახულ წინსვლაზე დაყრდნობით. სამშენებლო მომსახურების ღირებულების გადახდის წესი, ჩვეულებრივ, გულისხმობს გარიგების საფასურის ნაწილის წინასწარ გადახდას (როგორც წესი, 10%-მდე) და ყოველთვიურ გადახდებს კლიენტის მხრიდან მშენებლობის მიმდინარეობის შესაბამისად. მშენებლობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში. დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია. მიღებულ ავანსებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ნომარ ბუაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადავადებული შემოსავლის მუხლში.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში, საპროცენტო შემოსავლების ნაწილში.

მოგების გადასახადები.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ე. ამირეჯიბი
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა" ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ფლობილ კომერციულ ფართს.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. გარიგების დანახარჯებში შედის უძრავი ქონების გადაცემისთვის გადასახადი, პროფესიული გასამრჯელო იურიდიული მომსახურებისთვის და იჯარის პირველადი საკომისიო, რაც საჭიროა ქონების საექსპლუატაციო მდგომარეობამდე მისაყვანად. საბალანსო ღირებულებაში ასევე შედის არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის გამოცვლის ხარჯი იმ დროისთვის, როცა ეს ხარჯი გაიწია.

საინვესტიციო ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, მაგალითად, საოპერაციო იჯარის გაფორმებით (ან მყარი ვალდებულების აღებით, რომ გაფორმდება საოპერაციო იჯარა). საინვესტიციო ქონებიდან მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, რაც დასტურდება გაყიდვის მიზნით ქონების განვითარების დაწყებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების საზოგადოება შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოებას სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში კლებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობა ნაგებობები	5%
მანქანა დანადგარები და სხვ.	20%

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ვიქტორი [illegible]
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი ფაქტორები

კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება

საზოგადოება ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1-დან 3 დონემდე. ეს დონეები წარმოადგენს შემდეგს:

დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;

დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულებისა;

დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდება;

ფინანსური ინსტრუმენტები დისკონტირებული ღირებულებით

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ხელმძღვანელობის შეფასების შედეგად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვარდება ზემოთ ხსენებული დონეების მესამე დონის განსაზღვრებაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის დისკონტირებულ ღირებულებას.

საოპერაციო ხარჯები

წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებს) მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების, და გადაცემის გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ოთარი ჯაფარიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
ამორტიზირებული ღირებულება

არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივები ნებისმიერი ჩამოწერის და გაუფასურების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს ამორტიზაციას გადავადებულ ოპერაციის ღირებულების თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის გადავადებული გადასახადი წარმოშობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შედის საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივებს აქვს შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და დებიტორული მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ)ფინანსური აქტივები რომლების ინახება ვადის გასვლამდე და (დ)ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით დაფიქსირებული მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება.

ფინანსური ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება თავისი სამართლიანი ღირებულებით, ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი) იმ პერიოდში, რომელშიც ის წარმოიქმნება. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულების გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს (ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა რისკს და სარგებელს დაკავშირებულს გადაცემულ აქტივთან და არც ინარჩუნებს მასზე კონტროლს.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკებში

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ომარი ჩხეიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING "

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება ზარალში.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა ოჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი ან აშენებული ქონება აღირიცხება, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულებაში შედის:

მიწის თვითღირებულება; როდესაც მიწის რეკლასიფიკაცია ხდება საინვესტიციო ქონებიდან, მისი სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის ითვლება მის თვითღირებულებად;

სამშენებლო მასალებში გადასახდელი თანხები, ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს, საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, და დისკონტირებულ ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად (თუ არსებითია), რასაც აკლდება დასრულების დანახარჯები და გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები.

მოგებაში ან ზარალში აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება გაყიდვის მომენტისთვის განისაზღვრება, როგორც გაყიდულ ქონებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები და გაყიდული ქონების ფარდობითი ზომის მიხედვით მასზე განაწილებული არაპირდაპირი დანახარჯები.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინებაზე.

გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისათვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

უიმედო აქტივების ჩამოწერისას საამორტიზაციო და ზარალის რეზერვის შემდეგ ყველა აუცილებელი პროცედურა, აქტივის აღსადგენად უკვე დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრული. შემდგომი ამოღება ჩამოწერილი თანხების დაერიცხება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე და ამ ფარგლებში განისაზღვრება მოგება ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ირმო ჯალაღონია
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING "

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

კრედიტული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხი და მისი მიკუთვნება

კრედიტული დავალიანებისთვის შექმნილი ანარიცხები იქმნება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, როგორც წარსული მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი ეჭვი, იმის, რომ მოხდება სახსრების გადინება ამ ვალდებულებების დასაფარად, რომელიც არის საიმედოდ გამოთვლადი. როდესაც არის რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, ისინი უნდა იყოს მიჩნეული მთლიანობაში, როგორც ვალდებულებების ერთი კლასი.

სახელშეკრულებო ვალდებულებები.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანიას უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, ასეთ ხელშეკრულებებს საწარმო წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ ორი მოვლენიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები.

ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტინი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

COVID-19–თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესწორება, (რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2020 წლის 1 ივნისს ან მას შემდეგ იწყება). შესწორება მოიჯარეობას (და არა მეიჯარეებს) ათავისუფლებს სურვილისამებრ გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, არის თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ აირჩიონ ქირაზე შეღავათების აღრიცხვა ისევე, როგორც ეს არ იქნება იჯარის ცვლილებები. შედეგად ქირავნობის შეღავათები ჩაითვლება როგორც იჯარის ცვალებადი გადასახადი. პრაქტიკული ხსნარის გამოყენება ვრცელდება მხოლოდ ქირაზე შეღავათებზე, რომლებიც წარმოიქმნება COVID-19 -ის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: იჯარის გადახდის ცვლილება იწვევს იჯარის შესწორებულ ანაზღაურებას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლებია, იჯარის ანაზღაურებაზე ცვლილების წინ უშუალოდ; იჯარის გადახდის ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისამდე ან

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ომარი გაღალოძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ადრე გადახდაზე; და არ ხდება არსებითი ცვლილება იჯარის სხვა ვადებსა და პირობებში. თუ მოიჯარე აირჩევს პრაქტიკულ მეთოდს იჯარასთან მიმართებით, ის გამოყენებული იქნება ყველა საიჯარო ხელშეკრულებასთან, რომელიც მსგავსი სახისაა და მსგავსი გარემოებები გააჩნია. ცვლილების გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად IAS8-ს შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეები არ არიან ვალდებულები ხელახლა მიუთითონ წინა პერიოდის ციფრები ან გააკეთონ გამჟღავნება IAS8-ს 28(ვ) მუხლის თანახმად. ცვლილებების გამოყენებამ არ იქონია გავლენა როგორც საიჯარო ვალდებულებაზე, ასევე სარგებლობის უფლებით აქტივზე.

საპროცენტო განაკვეთის ორიენტირების (IBOR) რეფორმა – მე-2 ფაზის ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 39, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 7, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 4 და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 16 (გამოქვეყნებულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2021 წლის 1იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). მე-2 ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს რეფორმების განხორციელებიდან, მათ შორის, ერთი ორიენტირის ჩანაცვლებას ალტერნატიული ორიენტირით. ცვლილებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების დასაბუთება IBOR რეფორმის შედეგად საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში; ინსტრუმენტებისთვის, რომლებზედაც ამორტიზირებული ღირებულების გაზომვა ვრცელდება, შესწორებები ითხოვენ ერთეულებს, როგორც პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, შეაფასონ ცვლილების განსაზღვრა IBOR– ის რეფორმის შედეგად მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით ფასს 9 – ის B5.4.5 პუნქტში მითითებების გამოყენებით, რის შედეგადაც, უშუალო მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია IBOR რეფორმის უშუალო შედეგად, ხოლო ახალი საფუძველი ეკონომიკურად ეკვივალენტურია წინა ბაზის. მზღვეველები, რომლებიც იყენებენ ფასს 9 -ის დროებით გათავისუფლებას, ასევე ვალდებულნი არიან გამოიყენონ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16-იც ასევე შეიცვალა, რომ მოიჯარეებმა მოითხოვონ მსგავსი პრაქტიკული მიზანშეწონილობა იჯარის ცვლილებების აღრიცხვისას, რაც ცვლის IBOR– ის რეფორმის შედეგად მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს. დასრულების თარიღი პირველ ფაზაში შეღავათებისთვის, ჰეჯირების ურთიერთობებში კონტრაქტით გაუთვალისწინებელი რისკის კომპონენტებისთვის; მე -2 ფაზის შესწორება მოითხოვს, რომ ერთეულმა პერსპექტიულად შეწყვიტოს 1-ლი ფაზის შეღავათების გამოყენება არაკონტრაქტულად განსაზღვრული რისკის კომპონენტზე უფრო ადრე, როდესაც ცვლილებები განხორციელდება არაკონტრაქტულად განსაზღვრულ რისკის კომპონენტში, ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა შეწყვეტილია. რისკის კომპონენტების 1 ფაზის შესწორებებში დასრულების თარიღი არ იყო მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისას: მე -2 ფაზის ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს ბასს 39 -ისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 9 -ის სპეციფიკური ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან IBOR რეფორმით პირდაპირ დაზარალებულ ურთიერთობებზე.
- IBOR– ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7 დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება: შესწორებები მოითხოვს გამჟღავნებას: (i) როგორ ახორციელებს ერთეული ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე გადასვლას, მის პროგრესს და გაურკვევლობის რისკებს; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია დერივატივებისა და არა წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ არ არის გადასული, დაყოფილია მნიშვნელოვანი საპროცენტო

განაკვეთის ნიშნულის მიხედვით; და (iii) რისკის მართვის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების აღწერა IBOR რეფორმის შედეგად.

IBOR რეფორმის ეფექტი: მარეგულირებლებისთვის პრიორიტეტად იქცა რეფორმა და ბანკთაშორისი სხვადასხვა კოეფიციენტის (IBOR) შეცვლა. IBOR კოეფიციენტების უმრავლესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბერს, მხოლოდ ა.შ.შ. დოლარის LIBOR კოეფიციენტების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისიდან.

ცვლილების გამოყენებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სიახლეები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

გამოშვებულ იქნება გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით და რომელიც კომპანიას ადრე არ მიუღია.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის პარტნიორს და მასთან დაკავშირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სსბსბ-ს მიერ განსაზღვრული თარიღით ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს შესწორებები მიმართულია ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობების აღმოფხვრისკენ, ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისას ან კონტრიბუციისას. შესწორების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ოპერაციაში ჩართულია ბიზნესი. ნაწილობრივი ზარალი ან მოგება აღიარებულია, როცა ოპერაცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, როდესაც მათი მფლობელი შვილობილი კომპანიაა.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად - ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებითი უფლება აქვს გადადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. სახელმძღვანელო მითითებები აღარ საჭიროებს ასეთი უფლების უპირობობას.

მენეჯმენტის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, გამოიყენებენ თუ არა შემდგომში ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ საწარმო საანგარიშო პერიოდის ბოლოს შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ან მანამდე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარი მიღებულია გამსესხებლისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის შეთანხმება დაირღვა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას სესხისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფარას საკუთარ კაპიტალში კონვერტაციით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალდებულების დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთათვისაც კონვერტაციის ვარიანტი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ირინა გაბალაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ინსტრუმენტი, როგორც ნაერთი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. კომპანია მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსავლები დაგეგმილ გამოყენებამდე, დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება, მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე - ბასს 16-ის, ბასს 37-ის და ფასს 3-ის ვიწრო მასშტაბის შესწორებები, და 2018-2020 ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების - ფასს 1-ის, ფასს 9-ს, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის პოზიციის ღირებულებიდან იმ პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას, რომლებიც დამზადდა, როდესაც საწარმო ამზადებდა აქტივს დაგეგმილი გამოყენებისთვის. ამგვარი პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების ღირებულებასთან ერთად, უკვე აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული პოზიციების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს ტესტირებადი აქტივის ცვეთას, რადგან ის არ არის მზად დაგეგმილი გამოყენებისთვის. ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 16 ასევე განმარტავს, რომ ორგანიზაცია „ამოწმებს, სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი", როცა ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მწარმოებლურობას.

აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არაა მნიშვნელოვანი ამ შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, აქტივს შეიძლება უნარი ჰქონდეს იფუნქციონიროს იმ დანიშნულებით, რაც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და ცვეთის გათვალისწინებით, სანამ ის მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ მოსალოდნელი საოპერაციო მაჩვენებლების დონეს.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37 განმარტავს „კონტრაქტის შესრულების ხარჯებს". ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე პირობის ჩამოყალიბებამდე, ორგანიზაცია აღიარებს ნებისმიერ საამორტიზაციო ზარალს, რომელიც დადგება კონტრაქტის შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან მიმართებაში და არა ამ კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 შეცვლილ იქნა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მისათითებლად, იმის განსაზღვრისთვის, თუ რა წარმოადგენს აქტივს ან პასივს კომპანიათა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3-ში მითითებული იყო 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. გარდა ამისა, ახალი გამონაკლისი იქნა დამატებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 3 დავალიანებასა და პირობით დავალიანებასთან დაკავშირებით. გამონაკლისი ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი ტიპის დავალიანებისა და პირობითი დავალიანებისთვის, ორგანიზაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 3-ს იყენებს, უნდა მიუთითოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის 21-ე ინტერპრეტაცია, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, ორგანიზაციას შეეძლო ეღიარებინა ზოგიერთი დავალიანება კომპანიათა შერწყმისას, რომელსაც ის არ აღიარებდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, უშუალოდ შეძენის შემდეგ, ორგანიზაციას მოუწევდა ამგვარი დავალიანების აღიარების გაუქმება და სარგებლის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებული იყო, რომ

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "DAR BUILDING "

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37, შეძენის თარიღში.

ცვლილება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9 ითვალისწინებს, თუ რა საკომისიო უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური დავალიანების აღიარების გაუქმებისთვის. ხარჯები ან საკომისიო შეიძლება გადახდილ იქნას მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან საკომისიო არ იქნება შეტანილი 10% ტესტში.

საილუსტრაციო მაგალითი 13, რომელიც თანდართულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე 16 შეცვლილ იქნა საიჯარო ქონების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მეიჯარისგან გადახდილი თანხების ილუსტრირების ამოსაღებად. ცვლილების მიზანია საიჯარო შეღავათების აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაძლო გაურკვევლობის მოცილება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს მიიღებს უფრო გვიან, ვიდრე მისი დამფუძნებელი. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და პასივების შეფასება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნებოდა მისი დამფუძნებლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით, თუ კონსოლიდირების პროცედურები არ იყო კორექტირებული და კომპანიათა შერწყმის მიზნით, რომელშიც დამფუძნებელმა შეიძინა შვილობილი კომპანია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 შეცვლილ იქნა, რათა საშუალება მიეცა ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ეს გამონაკლისი, რომ ასევე შეეფასებინათ ჯამური კურსთა შორისი სხვაობები დამფუძნებლის მიერ დაფიქსირებული თანხების გამოყენებით, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ცვლილება ზემოაღნიშნულ გამონაკლისს ავრცელებს ჯამური კურსთა შორის სხვაობებზე, სტანდარტების ახალი მიმღებებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის იგივე გამონაკლისი. ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომ ორგანიზაციებმა არ გაითვალისწინონ გადასახადებით დაბეგვრისთვის ფულადი ნაკადები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 შესაბამისად სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. ეს ცვლილება მიზნად ისახავს შესაბამისობაში მოყვანას მოთხოვნასთან სტანდარტში, ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების თაობაზე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17, "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია პერიოდებისთვის, რომლებიც 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ იწყება). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 ანაცვლებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა ნებართვა განახორციელონ ბუღალტრული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. ამის შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვისთვის, სადაზღვევის კონტრაქტების ჩათვლით, რომლებიც მზღვეველს აქვს. სტანდარტი ითვალისწინებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი საშუალებების (მესრულების ფულადი საშუალებების) რისკებზე კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც მოიცავს მიუღებელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ლაშა ჭანტურია
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საშუალებების შესახებ უტყუარ საბაზრო ინფორმაციასთან შესაბამისობაში; პლუს (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან მინუს (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს მიუღებელ მოგებას კონტრაქტების კომპანიაში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან მათ მიერ სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფის პერიოდის განმავლობაში და როცა ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის გამომწვევი, ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ცვლილებები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ის ცვლილება (გამოქვეყნებულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამარტივებას, სტანდარტისა და გადასვლის ზოგი მოთხოვნის გამარტივებას. ცვლილებები ეხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის რვა სფეროს და ისინი მიზნად არ ისახავს სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების გათვალისწინებით) გადავადებულია ორი წლის ვადით წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ; ხოლო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 4-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადაწეულია წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ;

- დაზღვევის მოზიდვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: ორგანიზაციამ უნდა გამოყოს დაზღვევის მოზიდვის ხარჯები კონტრაქტების მოსალოდნელ გაგრძელებასთან დაკავშირებით და ეს ხარჯები უნდა აღიაროს აქტივად მანამ, სანამ ორგანიზაცია აღიარებს კონტრაქტის გაგრძელებას. ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ აქტივის ანაზღაურებადობა ყოველ ანგარიშგების თარიღს და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებასთან დაკავშირებული საკონტრაქტო მომსახურების მარჟა: უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები, სადაზღვევო დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების ბენეფიტების რაოდენობისა და მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვალებადი საკომისიოს მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის, ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის მომსახურებით ", ზოგადი მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილ უნდა იქნას ფულადი ნაკადების მოძრაობის სახით, სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც ორგანიზაცია ასრულებს ამგვარ საქმიანობას სადაზღვევო პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ბენეფიტების გასაძლიერებლად.
- არსებული გადაზღვევის კონტრაქტები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც ორგანიზაცია აღიარებს ზარალს ძირითადი დამამძიმებელი სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან ჯგუფში დამამძიმებელი კონტრაქტების დამატებისას, ორგანიზაციამ უნდა დააკორექტიროს არსებული

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ირმაზ ბათიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გადაზღვევის კონტრაქტების დაკავშირებული კომპანიის საკონტრაქტო მომსახურების მარჯა და აღიაროს ნამატი არსებულ გადაზღვევის კონტრაქტებზე. არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან ანაზღაურებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო

- კონტრაქტებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით ძირითადი სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული პრეტენზიების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის ანაზღაურებასაც გეგმავს ორგანიზაცია არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან. ეს მოთხოვნა გავრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებული გადაზღვევის კონტრაქტი აღიარებულ იქნება იმ დრომდე ან იმავე დროს, როცა აღიარებულ იქნება ზარალი ძირითად სადაზღვევო კონტრაქტებზე.
- სხვა ცვლილებები: სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს ზოგიერთი საკრედიტო ზარათის (ან მსგავსი) კონტრაქტებისა და ზოგი სასესხო კონტრაქტისთვის; სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და პასივების წარმოდგენას პორტფოლიოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯგუფების ნაცვლად; რისკების შერბილების ვარიანტის გამოყენებადობას ფინანსური რისკების შერბილებისას არსებული გადაზღვევის კონტრაქტებისა და არადერივაციული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის საშუალებით; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული გაანგარიშებების შესაცვლელად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომელიც ეკისრება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად ფულადი ნაკადების შესრულებისას; და გადასვლის შერჩეულ შეღავათებს და სხვა მცირე ცვლილებებს.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად, ამოქმედების თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს-1 შესწორებები, რომლებიც შეეხება ვალდებულებების კლასიფიკაციას როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიან ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში და ამოქმედების თარიღად მითითებული იყო 2022 წლის 1-ლი იანვარი. კოვიდ-19-ით გამოწვეული გარემოებების გამო ამოქმედების თარიღმა გადაიწია ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ კლასიფიკაციის ცვლილებების განხორციელების საშუალება, რომელიც სტანდარტის ცვლილებას მოყვება შედეგად. გუნდი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები IAS (ბასს) 1 -ში და ფასს -ის პრაქტიკაში განცხადება 2: ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამჟღავნება (გამოქვეყნებულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შეიცვალა იმის მოთხოვნით, რომ კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი მატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა. შესწორებამ უზრუნველყო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მატერიალური ინფორმაციის განსაზღვრა. შესწორებამ ასევე განმარტა, რომ საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოსალოდნელია რომ იქნება მატერიალური, თუ ამის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ ექნებათ საშუალება გაიგონ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში. შესწორებამ მოიტანა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც სავარაუდოდ განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ერთეულის ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1 – ის შესწორება განმარტავს, რომ არამატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია არ უნდა იყოს გამჟღავნებული. თუმცა, თუ ის გამჟღავნებულია, ის არ უნდა ფარავდეს საბუღალტრო პოლიტიკის მატერიალურ ინფორმაციას. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს -ის პრაქტიკის პრაქტიკა 2 „არსებითი განაჩენების გამოტანა "ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოს მითითებები, თუ როგორ გამოიყენოს მნიშვნელოვანი კონცეფცია საბუღალტრო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ომარი ბუღაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ცვლილებები ბასს 8 -ში: ბუღალტრული აღრიცხვის განსაზღვრა (გაცემული 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 8 -ის შესწორება განმარტავს, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Covid-19– თან დაკავშირებული გაქირავების შეღავათები-ცვლილებები IFRS 16 – ში (გაცემული 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ). 2020 წლის მაისში გამოქვეყნდა ფასს 16-ის შესწორება, რომელიც მოიცავდა არჩევით პრაქტიკულ მიზანშეწონილობას მოიჯარეთა მიერ იმის შეფასებაში, იყო თუ არა COVID-19– თან დაკავშირებული ქირაზე დათმობა, რამაც გამოიწვია იჯარის ანაზღაურების შემცირება 2021 წლის 30 ივნისამდე ან მანამდე, იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა ცვლილებამ გააგრძელა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თარიღი 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომელიც წარმოიქმნება ერთი გარიგების შედეგად - ცვლილებები ბასს 12 -ში (გამოქვეყნებულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 12 -ის ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, როგორიცაა იჯარა და ვალდებულებებიდან გამოსვლის ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, ერთეულები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გარკვეული გაურკვევლობა იმის შესახებ, გამოიყენებოდა თუ არა გათავისუფლება ისეთ გარიგებებზე, როგორიცაა იჯარა და ვალდებულებების გაუქმება - გარიგებები, რომლებისთვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ასევე ვალდებულება. ცვლილებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება და რომ ერთეულებს მოეთხოვებათ აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. შესწორებები მოითხოვს კომპანიებს აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იწვევს თანაბარი ოდენობით დასაბეგრ და გამოქვითულ დროებით განსხვავებებს. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადასვლის ვარიანტი მზღვეველების მიმართ, რომლებიც იყენებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 17-ს (გამოქვეყნებულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

გადასვლის მოთხოვნების ცვლილებები ფასს 17-ში მზღვეველებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ისარგებლონ იმ ინფორმაციის გამოსადეგობის გაუმჯობესებით, რომელიც მიეწოდება ინვესტორებს ფასს-17-ის თავდაპირველი გამოყენებისას. ცვლილება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს-17-ზე და არ აქვს გავლენა ფასს-17-ის სხვა მოთხოვნებზე. გადასვლის მოთხოვნები ფასს-17-სა და ფასს-9-ში გამოიყენება სხვადასხვა თარიღებში და შედეგად გვაძლევს კლასიფიკაციის ერთჯერად განსხვავებებს ფასს 17-ის საწყის გამოყენებაში წარმოდგენილ შედარებად ინფორმაციასთან; მიმდინარე ღირებულებით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და ამორტიზებული ხარჯებით გამოქვითულ ფინანსურ აქტივებს შორის არსებულ საბუღალტრო აღრიცხვის შეუსაბამობებს; და თუ რომელიმე საწარმო გადაწყვეტს ხელახლა წარმოადგინოს შედარებადი ინფორმაცია ბასს9-თვის, კლასიფიკაციის განსხვავებები შედარებად პერიოდში ჩამოწერილ ფინანსურ აქტივებს (რომელთან მიმართებაშიც არ გამოიყენება ბასს 9) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომელთა მიმართებითაც გამოიყენება ბასს 9). შესწორება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ დროებითი სააღრიცხვო

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

თამარ ჯანელიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეუსაბამობები და გააუმჯობესონ შედარებადი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ეს კეთდება მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შედარებადი ინფორმაციის მიწოდების ვარიანტით. ბასს 17-ის თავდაპირველად გამოყენებისას ორგანიზაციას შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით შეუძლია გამოიყენოს კლასიფიკაციის სქემა ფინანსურ აქტივთან მიმართებით, რომლისთვისაც საწარმო არ წარმოადგენს ხელახლა ბასს9-ის შედარებად ინფორმაციას. გადასვლის ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება ინსტრუმენტიდან ინსტრუმენტზე საფუძველზე. ის საშუალებას მისცემს საწარმოს წარმოადგინოს შედარებადი ინფორმაცია იმ სახით, თუ მოხდებოდა ბასს 9-ს კლასიფიკაციის და გაზომვის მოთხოვნების გამოყენება ამ ფინანსურ აქტივთან მიმართებით, მაგრამ არ არის საჭირო საწარმოს მიერ ბასს-9-ს გაუფასურების მოთხოვნის გამოყენება. და ითხოვს, რომ ორგანიზაციამ, რომელიც იყენებს კლასიფიკაციის სქემას ფინანსურ აქტივთან მიმართებით, გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღში, რათა განსაზღვროს, თუ რა სახით მოელის საწარმო ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ბასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ სხვაგვარად არ არის აღწერილი ზემოთ, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. შემოსავლები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან		
საცხოვრებელი ფართების და აპარტამენტების რეალიზაცია	27,687,450	15,404,607
ავტოსადგომის რეალიზაცია	149,727	75,592
სულ შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან	**27,837,177**	**15,480,199**
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან		
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	3,519,749	9,182,644
სულ შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	**3,519,749**	**9,182,644**
სხვა შემოსავალი		
ნედლეული და მასალების რეალიზაცია	652,577	662,508
სულ სხვა შემოსავალი	**652,577**	**662,508**
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**28,489,754**	**16,142,707**
აღიარებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში	27,812,621	15,759,033
აღიარებული დროის გარკვეულ მომენტში	677,133	383,673
საიჯარო შემოსავალი	**802,938**	**672,512**
სულ შემოსავალი	**32,812,441**	**25,997,862**

კომპანიამ აღიარა 64,352,153 ლარის შემოსავალი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში (2020 წლ: 17,834,419 ლარი), რომელიც უკავშირდება (იპოთეკის მდგომარეობით გადავადებულ შემოსავალში შესულ მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

მამარდ ასლანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული:

31 დეკემბერი, 2021	2021 წლის 31 დეკემბერით დასრულებულ ი წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბერით დასრულებულ ი წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებულ ი წლისათვის	*3-5 წლის შემდეგ*	*სულ*
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ აქტიურ ხელშეკრულებებზე	19,305,646	22,523,254	16,088,038	6,435,215	**64,352,153**

31 დეკემბერი, 2020	2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის	*3-5 წლის შემდეგ*	*სულ*
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ აქტიურ ხელშეკრულებებზე	17,834,419				**17,834,419**

კომპანია იყენებს ფასს 15-ის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით კომპანიამ შემდეგი აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	49,151,436	22,235,496
გადავადებული შემოსავალი	15,200,717	17,834,419

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შედგება შემდეგისგან:

	2,021	2,020
ბინების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები	28,510,314	5,688,178
არასაოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	6,506,267	6,520,969
სამშენებლო მომსახურებასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	13,472,594	9,887,240
სხვა დებიტორული დავალიანება	662,261	139,109
მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**49,151,436**	**22,235,496**
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**49,151,436**	**22,235,496**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ლომანი ჭალაგანიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საავჭრო დებიტორული დავალიანება, ძირითადად, გამოხატულია აშშ დოლარში და მათი დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 1-2 თვეა.

ბინების გაყიდვის შედეგად სახელშეკრულებო ფასის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული მოთხოვნების აღიარება ხდება იმ მომენტში, როცა ბინა რეგისტრირდება მომხმარებლის სახელზე. ბინების გაყიდვასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება იფარება მოთხოვნამდე და საანგარიშგებო თარიღიდან ერთ თვემდე ვადაში.

გადავადებული შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული გადავადებული შემოსავალი	11,210,244	13,034,215
გრძელვადიანი გადავადებული შემოსავალი	**11,210,244**	**13,034,215**
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული გადავადებული შემოსავალი	3,990,472	4,800,204
მოკლევადიანი გადავადებული შემოსავალი	**3,990,472**	**4,800,204**

გადავადებული შემოსავალი შედგება მომხმარებლების მიერ საცხოვრებელი ფართის შესაძენად გადახდილი ავანსებისგან, დღგ-ის გარეშე, და სამშენებლო მომსახურებისთვის მიღებული ავანსებისგან. პერიოდის განმავლობაში გადავადებულ შემოსავალში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები, ძირითადად, ეხება მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც დროთა განმავლობაში შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, და საავანსო გადახდებს, რომლებიც მიიღება სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულებების და მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონებას გაყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე.

7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	30 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების თვითღირებულება:		
საცხოვრებელი ფართების და აპარტამენტების თვითღირებულება	9,154,692	8,637,377
ავტოსადგომის თვითღირებულება	117,187	24,395
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების თვითღირებულება	**9,271,879**	**8,661,772**
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება	3,010,133	7,358,177
სულ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება	**3,010,133**	**7,358,177**
ქონების საოპერაციო ხარჯები:		
ცვეთა	15,730	16,558
დაზღვევა	2,609	2,420
კომუნალური მომსახურების კომპანიები	1,379	5,055
ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	702	1,015
ქონების გადასახადი	-	3,229
ქონების საოპერაციო ხარჯები:	**20,419**	**28,276**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ირმაზი ქავაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების დანახარჯები		
ხელფასი	128,477	-
კომუნალური მომსახურების ხარჯი	115,091	-
სასტუმროს სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ხარჯები	4,876	-
სასტუმროს სარეკლამო მომსახურება	3,076	-
სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების დანახარჯები:	**251,521**	**-**
საქონლის/ნედლეულის თვითღირებულება:		
ნედლეული და მასალების თვითღირებულება	524,880	616,641
რეალიზებული ნედლეულის და მასალების თვითღირებულება	**524,880**	**616,641**

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	199,064	13,419
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	114,639	36,910
თანამშრომლების კვება	61,790	23,478
ქონების გადასახადი.	36,480	8,833
სატრანსპორტო და სხვა მომსახურება	24,122	78,365
ბანკის საკომისიო	22,867	8,347
საჯარო რეესტრის ხარჯი	16,499	9,816
კომუნალური მომსახურების ხარჯი	3,508	57,891
წარმომადგენლობითი ხარჯი	160	6,010
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**479,129**	**243,069**

აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):	2021	2020
გასამრჯელო 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	**25,000**	**25,000**

9. საინვესტიციო ქონება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საინვესტიციო ქონების მოძრაობა წლების განმავლობაში:

2021 წელი	შემოსავლიანი აქტივი (კომერციული ფართი)	სხვა	სულ
დეკემბერი 31, 2019	**331,158**	**-**	**331,158**
შესყიდვები	-	-	-
მიმდინარე წლის ცვეთა	(16,558)		**(16,558)**
დეკემბერი 31, 2020	**314,600**	**-**	**314,600**
შესყიდვები	-	-	-
გასვლა	(298,870)		
მიმდინარე წლის ცვეთა	(15,730)		**(15,730)**
დეკემბერი 31, 2021	-	-	-

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

მარინე ბუაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შემოსავლიან აქტივი წარმოადგენდა საოფისე (კომერციული) შენობას, რომელიც რეალიზებულ იქნა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში და ცვეთა დარიცხულია გაყიდვის მომენტამდე.

10. მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება თითოეულ პროექტზე შემდეგნაირად ნაწილდება:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ქ, ბათუმი, ბარათაშვილის 24	697,152	1,765,713
ქ, ბათუმი, ვაჟა ფშაველას 17	262,075	262,075
ქ, ბათუმი, ზ. გორგილაძის 94	86,014	134,873
ქ. ბათუმი პუშკინის ქ.#13 / ფალავანდიშვილის ქ. #7-9	23,288	98,466
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ.#19	2,598,593	3,691,927
ქ. ბათუმი ჟიული შარტავას გამზირი #8	17,455,325	17,646,761
მარაგებად კლასიფიცირებული ფართები	**21,122,447**	**23,599,815**
სამშენებლო მარაგები	6,484,983	6,085,085
დაუმთავრებელი წარმოება	-	4,489,978
მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება	**27,607,430**	**34,174,878**

ქვემოთ მოკლედ არის წარმოდგენილი მოძრაობა მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონების:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**34,174,878**	**32,673,863**
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-3 შენიშვნა)	-	-
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**34,174,878**	**32,673,863**
მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები	5,822,537	10,779,428
ძირითად საშუალებად რეკლასიფიცირებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები (მე-11 შენიშვნა)	(2,593,226)	-
გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში აღიარებული გასვლები (მე-6 შენიშვნა)	(9,796,759)	(9,278,413)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**27,607,430**	**34,174,878**

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	**193,000**	**-**	**1,771,975**	**8,534**	**1,973,509**
მატება	-	-	-	-	-
კლება	-	-	(152,869)	-	**(152,869)**
დეკემბერი 31, 2020	**193,000**	**-**	**1,619,106**	**8,534**	**1,820,640**
მატება	-	2,593,226	1,830,442	6,376	**4,430,045**
კლება	-		(1,442,561)	-	**(1,426,874)**
დეკემბერი 31, 2021	**193,000**	**2,593,226**	**2,022,673**	**14,910**	**4,823,810**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

[illegible]
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					-
დეკემბერი 31, 2019	-	-	**(884,357)**	**(7,581)**	**(891,938)**
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(122,903)	(520)	**(123,423)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	20,432		**20,432**
დეკემბერი 31, 2020	-	-	**(986,828)**	**(8,101)**	**(994,929)**
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(129,661)	(301,123)	(433)	**(431,217)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	-	**(129,661)**	**(1,287,951)**	**(8,534)**	**(1,426,146)**
წარჩენი ღირებულება					
დეკემბერი 31, 2019	**193,000**	-	**887,618**	**953**	**1,081,572**
დეკემბერი 31, 2020	**193,000**	-	**632,278**	**433**	**825,711**
დეკემბერი 31, 2021	**193,000**	**2,463,565**	**734,723**	**6,376**	**3,397,664**

12. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მარაგებად კლასიფიცირებულ უძრავ ქონებაში გადახდილი ავანსები	2,729,032	3,203,611
საგადასახადო აქტივი	453,380	812,786
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	50,000	50,000
სულ გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები	**3,232,412**	**4,066,397**

13. ფინანსური ინსტრუმენტები

გაცემული სესხები

31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	18,046,570	17,608,300
სულ გრძელვადიანი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები,	**18,046,570**	**17,608,300**
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	1,997,920	2,376,369
სხვა მხარეზე გაცემული სესხი	-	116,319
სულ მოკლევადიანი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები,	**1,997,920**	**2,492,689**
სულ გაცემული სესხები	**20,044,490**	**20,100,989**
მოკლევადიანი ნაწილი	1,997,920	2,492,689
გრძელვადიანი ნაწილი	18,046,570	17,608,300
	2021	**2020**
გაცემულ სესხებზე მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა:	1,838,125	2,186,047

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ბადრი შალამბერიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საწარმოს გაცემული აქვს სესხი დაკავშირებულ მხარეებთან (შენიშვნა 17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან). გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურად 10 %-ს. გაცემული გრძელვადიანი სესხი დასაფარია 60 თვის განმავლობაში 2025 წლის 1 ივლისამდე, ხოლო გაცემული მოკლევადიანი სესხი დასაფარია 12 თვის განმავლობაში 2022 წლის 24 სექტემბრამდე.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,286	746
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	268,443	7,304
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29,730	7,073
სულ ფულადი სახსრები	**300,459**	**15,123**

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, ძირითადად, შედგება მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე გადასახდელი თანხებისგან. ეს დავალიანება ძირთადად აშშ დოლარშია გამოხატული და დასაფარია საანგარიშგებო თარიღიდან 3-6 თვეში.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მშენებლობასთან დაკავშირებული დავალიანება	7,960,843	5,627,552
მარკეტინგი და რეკლამა	-	195,754
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**7,960,843**	**5,823,306**

სხვა ვალდებულებები

დანარჩენი ვალდებულებები, ძირითადად, მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საგადასახადო ერთიანი სახაზინო	529,253	2,721.37
სხვა ვალდებულებები	52,508	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**581,762**	**2,721**

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ოთარი ჭელიძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

15. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ფული და ფულის ექვივალენტები	300,459	15,123
გაცემული სესხები	20,044,490	20,100,989
ვალდებულებები	23,743,322	23,660,447
	(3,398,373)	**(3,544,335)**

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება ცვალებადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ომარი ბაბალაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2020
USD	23,527,318	14,991,344	5,840,832	17,777,626
EUR	3276	168,431	-	11,486
TRL	-	1,344.45	-	-
ჯამი	**23,530,594**	**15,161,120**	**5,840,832**	**17,789,112**

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე" მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

	გავლენა აქტივის		გავლენა პასივებზე	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
2021 მოგება/(ზარალი)	4,706,119	(4,706,119)	3,032,224	(3,032,224)
2020 მოგება/(ზარალი)	1,168,166	(1,168,166)	3,557,822	(3,557,822)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა მშენებლობა.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო მოთხოვნები	10,657,272	10,657,272
ფული და ფულის ექვივალენტები	1,238,257	1,238,257
	11,895,529	**11,895,529**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს ფრთხილად მართული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

თამარ ბულდაური
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები მოცემულია შემდეგნაირად:

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	**2021**	**2020**
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	27,413,703	15,522,838
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით		**2,020**
მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	46,091,350	20,332,489
გაცემული სესხები, დარიცხული პროცენტები	**2021**	**2,020**
სესხის გაცემა	2,140,000	2,071,800
დარიცხული პროცენტები	1,832,535	2,164,020
სასესხო მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	**2021**	**2,020**
სასესხო მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	20,044,490	19,975,782
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან		**2,020**
საქონლის ყიდვა/მომსახურების მიღება სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	4,354,742	4,461,714
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებიდან	**2021**	**2,020**
ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	6,815,344	3,742,865

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან:

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია წარმოდგენილია ქვემოთ:	**31 დეკემბერი 2021**	**31 დეკემბერი 2020**
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	130,758	129.580
	130,758	**129.580**

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-38 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

	31 დეკემბერი 2021
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	1 450 000
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	50 000
შევსებული კაპიტალის ოდენობა	1 400 000

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

ფინანსური ანგარიშების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალურია გაცვლითი კურსი გახლდათ შემდეგი: ერთი აშშ დოლარი = 2.8261ლარი და ევრო 1 = 2.8204

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 19 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

რევაზი დარჩიძე
დირექტორი

ლამარა გვდაძე
მთავარი ბუღალტერი

2022 წლის 19 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „DAR BUILDING “

მმართველობის ანგარიშგება

(2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ქ. ბათუმი

2022 წელი

მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,DAR BUILDING" (შემდგომში ,,საზოგადოება") რეგისტრირებულია 2013 წლის 02 თებერვალს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ფიროსმანის №19. კომპანიის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე რევაზ დარჩიძე (100%). საზოგადოების დირექტორია რევაზ დარჩიძე პ.ნ 58001002715 დაბადების წელი 24.09.1960 წელი.

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით, მომზადებულია უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,DAR BUILDING" არის ქართული კომპანია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქ, ბათუმში საცხოვრებელი სახლების, სასტუმრო აპარტამენტების და კომერციული დანიშნულების შენობების მშენებლობა და რეალიზაცია. აღნიშნულ საქმიანობას კომპანია 5 წელზე მეტია წარმატებით ახორციელებს და რეგიონში შესაბამის ბაზარზე იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ადგილს.

კომპანიის მიერ დასრულებული პროექტებია:

1. **ქ, ბათუმი, გორგილაძის 94-ში საცხოვრებელი სახლი**



2. ქ, ბათუმი, პუშკინის 13-ში საცხოვრებელი სახლი



3. ქ, ბათუმი, ვაჟა-ფშაველას 17-ში საცხოვრებელი სახლი



4. ქ. ბათუმი, ზარათაშვილის 24-ში საცხოვრებელი სახლი



5. ქ. ბათუმი, შარტავას 8



6. ქ. ბათუმი, ფიროსმანის 19



ქ. ბათუმში, შარტავას 8-ში და ქ. ბათუმი, ფიროსმანის N19-ში მდებარე პროექტებს მიენიჭა ტურისტული საწარმოს სტატუსი.

კომპანიის პროდუქტის მყიდველები არიან, როგორც რეზიდენტი ისე არარეზიდენტები ფიზიკური და იურიდიული პირები: რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, პაკისტანი, ჩინეთი, საბერძნეთი.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 33,362,951 ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 21,807,465 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 103,612,729 ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი 79,869,407 ლარია.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

კომპანია ყოველთვიურად ახორციელებს ფინანსური ანგარიშგებისა და სხვადასხვა სახის რეპორტების მომზადებას, რაც ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს მოახდინოს ფინანსური რისკების შეფასება. შესაბამის ანალიტიკაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს სტრატეგიას, მოხდეს გადახდისუნარიანობის რისკების დაზღვევა, სესხის მომსახურების კოეფიციენტების დაცვა, ფულადი ნაკადების რისკების მართვა და სხვა. შპს „ DAR BUILDING" წარმოადგენს სწრაფად განვითარებად კომპანიას, რის გამოც თითქმის ყოველწლიურად უწევს საკმაოდ დიდი ოდენობით კაპიტალური დანახარჯების გაღება. წინასწარ ახდენს კაპიტალური დანახარჯების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტების დათვლას. განიხილავს და აფასებს ფინანსური სახსრების მოზიდვის გზებს, კომპანიის სტაბილურობას და მხოლოდ აღნიშნულზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას კაპიტალურ დანახარჯებზე თანხების მისამართად.

ყოველი წლის დასაწყისში კომპანიის მენეჯმენტი, გაყიდვების და შესყიდვების სამსახურთან ერთად, გასული წლის შედეგებზე და სამომავლო პერსპექტივებსა და მოლოდინებზე დაყრდნობით, ადგენს გაყიდვების წლიურ გეგმას, რომელიც ჩაშლილია თვეების მიხედვით. აღნიშნული გეგმა ეხმარება კომპანიას მოახდინოს დათვლა კონკრეტულ თვეში დაახლოებით რა თანხის მობილიზებას შეძლებს. რაც ამცირებს ფულადი სახსრების უკმარისობის რისკს. ყოველთვიურად, მიმართულებების მიხედვით ხდება შედეგების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა გეგმებში და ბიუჯეტში. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორმა, როგორიცაა ვალუტის კურსის ცვლილება და ფასების მკვეთრი ცვლილება ქართულ ბაზარზე. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ინფორმირებულია კურსთა შორის სხვაობებთან მიმართებაში. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება ისახება პროდუქციის გასაყიდ ფასებზე, რაც ახდენს კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებას.

ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს უზრუნველყოს საზოგადოებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.

კომპანია მუდმივად ახდენს ბაზრის კვლევას, იღებს მონაწილეობას უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენებზე, სადაც ახდენს კომპანიის განხორციელებული, მიმდინარე და სამომავლო პროექტების პრეზენტირებას. ასევე ახდენს შავი ზღვის რეგიონის, როგორც ტურისტული ქალაქის, ასევე ინვესტირებისათვის საუკეთესო ადგილის გაცნობას, რომელიც გამორჩეულია არქიტექტურით, ევროპული უბნებით, მზარდი ეკონომიკით, უსაფრთხო გარემოთი, და წარმოადგენს ტურისტების საყვარელ ქალაქს.

კომპანია მკაცრად იცავს მშენებლობის ვადებს, რაც გულისხმობს მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებას.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, შესთავაზოს მომხმარებელს მაღალხარისხიანი, ფინანსურად ხელმისაწვდომი და ღამაზი არქიტექტურული სამშენებლო პროექტები. მყიდველებს სთავაზობს ბინებს და აპარტამენტებს, როგორც შავი

კარკასით, ასევე დასრულებული რემონტით.

- კომპანიის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უპასუხოს ევროპული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- აპარტამენტების მყიდველი ავტომატურად ერთვება ბიზნესშიც, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ მყიდველს საშუალება აქვს საკუთარი ბინა გააქირავოს და მეტი კომფორტისთვის ადმინისტრირებას DAR BUILDINGI გაუწევს.
- კომპანიის მიზანია განახორციელოს ახალი, მასშტაბური სამშენებლო პროექტები და მყიდველებს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შესთავაზოს მაღალხარისხიანი, გამორჩეული საცხოვრებელი და სხვა ტიპის სასტუმრო აპარტამენტები.

განვითარების რესურსები:

კომპანიას სამომავლო პროექტების განსახორიცლებლად გააჩნია საჭირო გამოცდილება და როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები.

სოციალური და დასაქმების საკითხები:

საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი, პერსონალთან მუშაობა იწყება მათი მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით, შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას, მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა, მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

საზოგადოების ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და გამართულია. კომპანიის საბუღალტრო სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. ისინი რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, რათა გაეცნონ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ ცვლილებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებლებთან პირნათელი ურთიერთობა, რომელსაც იგი წარმატებით ახორციელებს.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 19 სექტემბერს.

რევაზი დარჩიძე

დირექტორი

